

დასწავლის უნარის დარღვევის მეორე
მოსწავლეთა განვითარების ხელშეწყობა

გზამკვლევი მშობლებისთვის



გზამკვლევა მუშაობდნენ:

ავტორები:

ლია ქურციკიძე, ბავშვთა და მოგარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების მაგისტრი; ფსიქოლოგი.

შორენა ტყეშელაშვილი, ბავშვთა და მოგარდთა ფსიქოლოგიური შეფასებისა და კონსულტირების მაგისტრი; ფსიქოლოგი.

კონსულტანტი:

თამარ ისაკაძე, ფსიქოლოგიის მაგისტრი, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს მუльтиმედიის ცენტრის ბუნდის კოორდინატორი

იდეის ავტორი:

ეკატერინე დგებუაძე, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური განვითარების სამმართველოს უფროსი

კორექტორი:

მარიამ ბედიანაშვილი

დიზაინერი:

მარიამ ჯიჯავაძე

დამკვეთი:

კესო მამფორია

გზამკვლევი შექმნილია საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის საინფორმაციო და მეთოდოლოგიური მხარდაჭერის ქვეპროგრამის ფარგლებში

2018

სარჩევი

თავი 1. დასწავლის უნარის დარღვევის ზოგადი დახასიათება

1.1. სწავლის სირთულეებსა და დასწავლის უნარის დარღვევას შორის განსხვავება	10
1.2. რა არის დასწავლის უნარის დარღვევა	12
1.3. დასწავლის უნარის დარღვევის სახეები	15
☒ დისლექსია	
☒ დისგრაფია	
☒ დისკალკულია	
1.4. როგორ ვლინდება დასწავლის უნარის დარღვევა	20
1.5. დასწავლის უნარის დარღვევის თანმხლები ფსიქო-სოციალური სირთულეები	23
1.6. დასწავლის უნარის დარღვევის პროგნოზი	25

თავი 2. დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკა

2.1. ადრეული იდენტიფიკაციის მნიშვნელობა	26
2.2. ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და როგორ ხდება დიაგნოსტიკა	28
2.3. მშობლის როლი და მონაწილეობა შეფასების პროცესში	29
2.4. ოჯახის მიერ დიაგნოზის მიღება	31
2.5. როგორ ავუხსნათ ბავშვს დიაგნოზი	32

თავი 3. დასწავლის უნარის დარღვევის მეორე ბავშვის დახმარება

3.1. რა სახის ინტერვენცია ხდება დასწავლის უნარის დარღვევის დროს	34
3.2. როგორ გვეხმარებიან პროფესიონალები	40

თავი 4. დასწავლის უნარის დარღვევის მეორე ბავშვთან განათლება

4.1. სირთულეები და გამოწვევები სკოლაში	42
4.2. მშობელთან როლი სწავლების პროცესში	46

თავი 5. დასწავლის უნარის დარღვევის მეორე ბავშვის დახმარების სტრატეგიები მშობლებისათვის

5.1. აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები და აქტივობები	50
☒ კითხვა	
☒ წერა	
☒ ფონოლოგიური უნარები	
მათემატიკური უნარები	
5.2. შედეგებითი უნარების განვითარების ხელშეწყობის სტრატეგიები და აქტივობები	70
5.3. სოციალურ-ემოციური უნარების განვითარების ხელშეწყობა	76
5.4. ქვების სირთულეების მართვის სტრატეგიები	78
5.5. თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც დახმარე რესურსი	86

შესავალი

სკოლის დაწყება ბავშვის ცხოვრების ახალი ეტაპია, რომელსაც ახალი გამოწვევები და მოთხოვნები ახლავს თან. სწორედ ამ პერიოდში ხდება ისეთი მნიშვნელოვანი უნარ-ჩვევების ათვისება, როგორიცაა წერა, კითხვა და ანგარიში. თუმცა, ზოგჯერ, მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი რეგულარულად ესწრება გაკვეთილებს, აქვს სწავლისთვის ხელშემწყობი გარემო როგორც სკოლაში, ასევე- სახლში, ის მაინც ვერ ახერხებს აღნიშნული უნარების დაუფლებას. ზოგიერთმა მასწავლებელმა ან მშობელმა შეიძლება იფიქროს, რომ ბავშვი ზარმაცობს ან არ აქვს შესაბამისი გონებრივი შესაძლებლობები, სპეციალისტებს კი უჩნდებათ ეჭვი დასწავლის უნარის არსებობის შესახებ. თუ სკოლამდელ ასაკში დასწავლის უნარის დარღვევის შესახებ დამახასიათებელი ნიშნების შემჩნევა რთულია, სკოლის დაწყება მისი გამომჟღავნებისთვის კრიტიკულ პერიოდს წარმოადგენს.

მოცემული გზამკვლევი მიზნად ისახავს, გაზარდოს მშობლების ინფორმირების დონე დასწავლის უნარის დარღვევასთან დაკავშირებით. მიაწოდოს ისეთი ცოდნა, რომელიც დაეხმარებათ მათ მდგომარეობის ამოცნობასა და მართვაში. გზამკვლევი შედგება 5 თავისგან და მასში მოცემულია ინფორმაცია ისეთი ძირითადი საკითხების შესახებ, როგორებიცაა:

- ☒ რა არის დასწავლის უნარის დარღვევა და როგორ განვასხვავოთ ის სწავლასთან დაკავშირებული სხვა სირთულეებისაგან;

- ✓ როგორ ვლინდება დასწავლის უნარის დარღვევა;
- ✓ შეგვიძლია თუ არა გამომწვევი მიზეზების დადგენა;
- ✓ დასწავლის უნარის დარღვევის სხვადასხვა ფორმა და მათი მახასიათებლები;
- ✓ როგორ ხდება დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკა და ვის უნდა მიმართოს მშობელმა;
- ✓ სკოლის როლი ბავშვის საჭიროებების განვითარებაში;
- ✓ სტრატეგიები და აქტივობები, რომლის გამოყენებითაც მშობელს შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვის დეფიციტური უნარების განვითარებას.

თავი 1.

დასწავლის უნარის დარღვევის ზოგადი დახასიათება

ბავშვების უმეტესობისთვის სკოლის დაწყებას თან ახლავს შფოთვა, რომელიც დაკავშირებულია განცდასთან, რომ ისინი სწორედ ახლა დაადგენენ მრავალფეროვანი აღმოჩენებისკენ მიმავალ ახალ, უცხო და საინტერესო გზას. მშობლები, როგორც წესი, მათთან ერთად იზიარებენ ღელვისა და აღფრთოვანების ამ ემოციას. ამასთან, აქვთ მოლოდინი, რომ მათი შვილები ნელ-ნელა გადადგამენ მნიშვნელოვან ნაბიჯებს წერის, კითხვისა და ანგარიშისთვის საჭირო უნარების ათვისების კუთხით.

სწავლების ეფექტური მიდგომებით, მუდმივი მხარდაჭერითა და ხელშეწყობით, ბავშვების უმრავლესობა თანდათანობით ეუფლება კითხვის, წერისა და ანგარიშისთვის საჭირო უნარებს. თუმცა არიან ბავშვები, რომლებსაც მიუხედავად შესაბამისი მხარდაჭერის არსებობისა, მაინც აქვთ გარკვეული სირთულეები. ასეთ შემთხვევებში შესაძლოა ვისაუბროთ დასწავლის უნარის დარღვევის არსებობაზე.

1.1. სწავლის სირთულეებსა და დასწავლის უნარის დარღვევებს შორის განსხვავება

პირველ რიგში, მნიშვნელოვანია, რომ ერთმანეთისგან განვასხვავოთ სწავლის სირთულე და დასწავლის უნარის დარღვევა.

სწავლის სირთულეების მქონე ბავშვის შემთხვევაში აკადემიურ პრობლემებს, შესაძლოა, სხვადასხვა ფაქტორები განაპირობებდნენ. ესენია:

- ☒ სენსორული ინტეგრაციის სირთულე (შეგრძნების ორგანოებიდან მიღებული ინფორმაციის გადამუშავების სირთულე);
- ☒ ქცევითი, ფსიქოლოგიური ან ემოციური სირთულეები;
- ☒ ქართულის, როგორც მეორე ენის არსებობა;
- ☒ სკოლის ხშირი გაცდენა;
- ☒ სწავლების არაეფექტური მეთოდები;
- ☒ მშობლების ნაკლები ჩართულობა სწავლების პროცესში;
- ☒ შეუსაბამო სასწავლო გეგმა და სხვა.

ზემოთ ჩამოთვლილი ფაქტორების აღმოფხვრის, შესაბამისი მხარდაჭერისა და მტკიცებულებებზე დაფუძნებული მეთოდების გამოყენების შემთხვევაში, სწავლის სირთულის მქონე ბავშვს აქვს იმის პოტენციალი, რომ სამომავლოდ დაეწიოს თავისი ასაკის შესაბამის დონეს.

რაც შეეხება დასწავლის უნარის დარღვევას, ბავშვის აკადემიურ მიღწევებს საფუძვლად უდევს განვითარების ნეირობიოლოგიური დარღვევა, რაც, თავის მხრივ, გენეტიკური, კოგნიტური და გარემო ფაქტორების ურთიერთქმედებითაა განპირობებული. ასევე, აღსანიშნავია, რომ დასწავლის უნარის დარღვევის შემთხვევაში მისთვის დამახასიათებელი სირთულეები გარკვეული ხარისხით მთელი ცხოვრების განმავლობაში გრძელდება.

1.2. რა არის დასწავლის უნარის დარღვევა?

დასწავლის უნარის დარღვევა ვლინდება კითხვის, წერის, გაგების, მსჯელობის ან მათემატიკური უნარების ათვისებისა და გამოყენების შესაძენვე სირთულეებით, რომელიც, სავარაუდოდ, გამოწვეულია ცენტრალური ნერვული სისტემის დისფუნქციით. აღნიშნული დარღვევის შემთხვევაში, თავის ტვინის ფუნქციონირების ან სტრუქტურის დონეზე მიმდინარეობს განსხვავებული პროცესები. ეს არის ნეირობიოლოგიური მდგომარეობა, რომელიც გავლენას ახდენს ინდივიდის მიერ ინფორმაციის მიღების, შენახვის, გადამუშავებისა და შემდგომში გამოყენების გზებზე. იგი, ასევე, გავლენას ახდენს ინდივიდის ყურადღებისა და მეხსიერების პროცესებზე, სოციალურ უნარებსა და ემოციებზე. ამ პროცესის საილუსტრაციოდ განვიხილოთ მაგალითი:

მასწავლებელი ამბობს: „ბაღში ყვითელი ვარდი ამოსულიყო“. მოსწავლეს ესმის მასწავლებლის მიერ ნათქვამი სიტყვა „ვარდი“. ხმის ტალღები მასწავლებლის ტუჩებიდან მოსწავლის ყურებამდე აღწევს და აისახება თავის ტვინში. ამას ეწოდება **მიღება**. შემდეგ ეტაპს წარმოადგენს **ინტეგრაცია** ანუ აღქმული ცალკეული ბგერების გამთლიანება. ინტეგრაციის პროცესი მოიცავს თანმიმდევრულობას, აბსტრაქციას და ორგანიზებას. მოსწავლე

აღქმულ ბგერებს „თარგმნის“ მისთვის ნაცნობ ფორმაში. შემდეგ გამოაცალკევებს სამიზნე სიტყვას („ვარდი“) წინადადებიდან და **მეხსიერებაში** მოიძიებს სიტყვაში შემავალი ასოების სწორ თანმიმდევრობას. სიტყვა „ვარდი“-ს სწორი დამარცვლა შენახულია მის ხანმოკლე ან ხანგრძლივ მეხსიერებაში. მეხსიერება გამოიყენება ასოთა სწორი თანმიმდევრობის გახსენებისთვის. ბოლოს, თვალისა და ხელის კოორდინირებული მოძრაობის შედეგად, მოსწავლე წერს სიტყვას, ხოლო, დამარცვლის შემთხვევაში გამოძვალა პროცესი ხდება ტვინის მიერ ნერვებისა და კუნთების მისამართით გაგზავნილი შეტყობინების შედეგად. თუ აღნიშნული პროცესი მიმდინარეობს შეუფერხებლად, მოსწავლე სწორად დამარცვლის სიტყვას.



ეს არის მარტივი მაგალითი იმისა, თუ როგორ მიმდინარეობს პროცესი საფეხურეობრივად. თუ მოსწავლეს აქვს დასწავლის უნარის დარღვევა, მაშინ, ერთი ან რამდენიმე საფეხური არ ფუნქციონირებს შესაბამისად.

დასწავლის უნარის დარღვევა, ხშირ შემთხვევაში, შესამჩნევი ხდება სკოლის დაწყების ადრეულ პერიოდში, როდესაც ბავშვს უჭირს სწავლის პროცესი და დროთა განმავლობაში ვერ ხდება ამ სირთულეების გადალახვა. ძირითადად მშობლები არიან პირველები, რომლებიც ამჩნევენ გარკვეულ პრობლემებს და უჩნდებათ განცდა - „რადაც ისე ვერ არის, როგორც უნდა იყოს“.

დასწავლის უნარის დარღვევა არსებობს მთელი ცხოვრების მანძილზე, თუმცა შესაბამისი მხარდაჭერისა და ჩარევის შემთხვევაში შესაძლებელია ცალკეული უნარების გაუმჯობესება. სწორედ ამიტომ ძალიან მნიშვნელოვანია პრობლემის ადრეული იდენტიფიცირება და ინტერვენცია.

დასწავლის უნარის დარღვევა არ არის კავშირში ბავშვის ინტელექტუალურ შესაძლებლობებთან. ამ მდგომარეობის დროს არის შესამჩნევი სხვაობა ბავშვის სწავლის პოტენციალსა და მისი მიღწევის დონეს შორის ანუ მას შესაძლოა ჰქონდეს ინტელექტუალური რესურსი, თუმცა, დარღვევის თავისებურებები ხელს უშლიდეს გამომწვევაში.

აღსანიშნავია, რომ დასწავლის უნარის დარღვევის მიზეზს არ წარმოადგენს სენსორული დეფიციტი, ინტელექტუალური დარღვევა, ემოციური და ფსიქოლოგიური

სირთულეები, ეკონომიკური, სოციალურ-კულტურული ან გარემოს არახელსაყრელი პირობები. თუმცა, დასწავლის უნარის დარღვევა შესაძლოა გვხვდებოდეს სხვა მდგომარეობებთან ერთად, მაგალითად, ყურადღების დეფიციტისა და ჰიპერაქტივობის სინდრომი.

1.3. დასწავლის უნარის დარღვევის სახეები

დასწავლის უნარის დარღვევის მრავალი სახე არსებობს. ჩვენ სამ ყველაზე გავრცელებულ ტიპს განვიხილავთ:

-  დისლექსია - კითხვის უნარის სპეციფიკური დარღვევა
-  დისგრაფია - წერის უნარის სპეციფიკური დარღვევა
-  დისკალკულია - მათემატიკური უნარების სპეციფიკური დარღვევა

დისლექსია. დასწავლის უნარის დარღვევის ყველაზე გავრცელებული ფორმაა და გვხვდება აღნიშნული დიაგნოზის მქონე ინდივიდთა დაახლოებით 80%-ში. დისლექსია ვლინდება კითხვის, გაგების, წერის, ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის სირთულეებით. ხშირ შემთხვევაში თან ახლავს მუშა მეხსიერების, ყურადღებისა და ორგანიზების უნარ-ჩვევებთან დაკავშირებული პრობლემები.

დისლექსიის შემთხვევაში, შესაძლოა, სახეზე იყოს ჩამოთვლილთაგან ყველა ან რამდენიმე სირთულე:

სიტყვების დამარცვლა ან მარცვლების სიტყვებად გაერთიანება
(ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი)

ნაცნობ სიტყვაში ცალკეული ბგერების გამოყოფა (რა ასოზე იწყება,
მთავრდება, შეიცავს თუ არა სიტყვა კონკრეტულ ბგერას);

ასოების ცნობა

ბგერის შესაბამის ასოსთან დაკავშირება

მსგავსად მჟღერი ბგერების ან ვიზუალურად მსგავსი სიტყვების
ერთმანეთისგან განსხვავება (ბალი-ბარი, ხ - ძ)

სიტყვების ამოკითხვა

წაკითხულის გაგება

ნელა და/ან შეცდომით წაკითხვა

მწირი ლექსიკა

ინსტრუქციაზე მიყოლა ან დროში თანმიმდევრული ინფორმაციის
დამახსოვრება (მუშა მესხიერება)

შეუსაბამობა ვერბალურ და წერით უნარებს შორის

სივრცითი და დროის მიმართებების არევა

წერასა და კითხვასთან დაკავშირებულ აქტივობებისადმი ინტერესის
ნაკლებობა და თავის არიდება

დისგრაფია - წერასთან დაკავშირებული დასწავლის უნარის დარღვევა. ის ძირითადად ვლინდება კალიგრაფიისა და საკუთარი აზრების წერილობით გადატანის სირთულით. გამოყოფენ დისგრაფიის ორ ქვეტიპს: მოტორიკაზე დაფუძნებულ (motor-based) და მეტყველებაზე დაფუძნებულ (language-based) დისგრაფიას. პირველ შემთხვევაში აქცენტი კეთდება წერის მექანიკურ ასპექტებზე. ბავშვს შეუძლია აზრის სტრუქტურირება და თანმიმდევრობით დალაგება, თუმცა აქვს სირთულე უშუალოდ ხელწერასთან დაკავშირებულ ასპექტებში. ეს განაპირობებს იმას, რომ წერა მისთვის ხდება დამღლელი, შრომატევადი და არასასურველი პროცესი. დისგრაფიის მეორე შემთხვევაში პრობლემას წარმოადგენს უშუალოდ აზრების ჩამოყალიბება და თანმიმდევრობით დალაგება წერის დროს. მიუხედავად იმისა, რომ ბავშვი ვერბალურად გარკვევით და მკაფიოდ აყალიბებს სათქმელს, უჭირს აზრის წერილობით გადმოცემა. ამ შემთხვევაში პრობლემა არ არის ხელით წერის პროცესის ასპექტში და სწორედ ამიტომ უწოდებენ მას მეტყველებაზე დაფუძნებულ დისგრაფიას.

დისგრაფიის შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს ჩამოთ-
ხოლოვანი კლიოა ან რამონიკი სიროლოლი:

კითხულობს შესაბამისად, თუმცა წერის სირთულეები
არის მკაფიოდ თვალსაჩინო

ვერბალური უნარების განვითარება წინ უსწრებს წერის
უნარების განვითარებას

წერისას ასოები გაურკვეველია (ბომისა და ფორმის მიხედვით)

უჭირს ასოებსა და სიტყვებს შორის სივრცეების გამოტოვება

წერს ნელა

ხშირად ერევა ასოები ერთმანეთში

უჭირს დამარცვლა

უჭირს საკუთარი აზრების წერილობით გადმოცემა

უჭირს წინადადების ფორმირებისას ძირითადი
გრამატიკული სტრუქტურის დაცვა

უჭირს წინადადებაში სიტყვების სწორი თანმიმდევრობით დალაგება

ვერ იცავს ტექსტის სტრუქტურას (აბზაცი, სიტყვის გადატანა,
პარაგრაფები)

თავს არიდებს წერით აქტივობებს

დისკალკულია - მათემატიკურ უნარებთან დაკავშირე-
ბული დასწავლის უნარის დარღვევა. ის ძირითადად
ვლინდება რიცხვების ცნობისა და მანიპულირების, მათე-
მატიკური სიმბოლოებისა და კონცეფციების გაგების
სირთულეებით.

დისკალკულიის შემთხვევაში შესაძლოა სახეზე იყოს
ჩაწ რიცხვების ცნობა, რაოდენობის ცნების გაგება

ბიჯით თვლა (ორობით, სამობით...)

გადათვლის გარეშე გარკვეული გროვის იდენტიფიცირება

მიმატებისა და გამოკლების ეფექტური სტრატეგიების გამოყენება

რიცხვების დაშლა

მათემატიკური ოპერაციების შესრულება
(მიმატება, გამოკლება, გამრავლება, გაყოფა)

დროის კონცეფციების გაგება (საათი, დღე, კვირა, თვე, სეზონი)

დროში ორიენტაცია (გუშინ, დღეს ხვალ) და თანმიმდევრულად
მოვლენების დალაგება

სივრცეში ორიენტაცია (მარჯვნივ, მარცხნივ, წინ, უკან ...)

ფულის გამოყენება

გაზრდილი შფოთვა და ნეგატიური დამოკიდებულება
მათემატიკის მიმართ

1.4. როგორ ვლინდება დასწავლის უნარის დარღვევა

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასწავლის უნარის დარღვევის მრავალი ფორმა არსებობს, შესაბამისად მისი გამოვლინება ძალიან მრავალფეროვანია და დამოკიდებულია ინდივიდუალურ შემთხვევებზე. თუმცა შესაძლებელია გარკვეული საერთო მახასიათებლების გამოყოფა.

სკოლამდელი ასაკი:

- ☀ საუბარს იწყებს თანატოლებთან შედარებით გვიან;
- ☀ აქვს სიტყვების წარმოთქმის სირთულეები;
- ☀ ლექსიკური მარაგის ზრდა მიმდინარეობს ნელა, ვერ პოულობს შესაბამის სიტყვებს;
- ☀ უჭირს რიცხვების, ასოების, კვირის დღეების, ფერებისა და ფორმების დამახსოვრება;
- ☀ ადვილად იღლება და უჭირს კონცენტრაცია;
- ☀ აქვს მოსმენის სირთულეები;
- ☀ უჭირს თანატოლებთან ურთიერთობა;
- ☀ აქვს სივრცეში ორიენტაციისა და რუტინის დაცვის სირთულეები;
- ☀ შენელებულია ნატიფი მოტორული უნარების განვითარების პროცესი;

დაწყებითი კლასები:

- ☀ ბგერისა და შესაბამისი ასოს ერთმანეთთან დაკავშირების სირთულე;
- ☀ ფონოლოგიური ანალიზისა და სინთეზის სირთულეები;
- ☀ ხშირად ერევა სიტყვები ერთმანეთში;
- ☀ მსგავსად მჟღერი სიტყვები ერევა ერთმანეთში (მაგალითად, ქალი-ქარი);
- ☀ ადგილს უცვლის რიცხვთა თანმიმდევრობას და ერთმანეთში ერევა მათემატიკური მოქმედებები;
- ☀ აქვს მეხსიერების სირთულეები, უჭირს ფაქტების დამახსოვრება;
- ☀ ნელა ითვისებს ახალ უნარებს;
- ☀ არის იმპულსური, აქვს დაგეგმვის სირთულე;
- ☀ უჭირს კალმის ან ფანქრის ხელში მყარად დაჭერა;
- ☀ უჭირს დროსთან დაკავშირებული ცნებების დამახსოვრება და გაგება;
- ☀ აქვს კოორდინაციისა და სივრცეში ორიენტაციის სირთულეები, მოუხერხებელია;
- ☀ ავლენს ქცევით სირთულეებს სხვადასხვა სიტუაციებში;

მეხუთე კლასიდან ზევით:

- ☀ თავს არიდებს ხმამაღლა კითხვას;
- ☀ უჭირს წერა;
- ☀ კალამი უჭირავს მოუხერხებლად;
- ☀ თავს არიდებს წერით დავალებებს;
- ☀ საუბრობს მოკლე და მარტივი წინადადებებით, ფრაზებით ან ტოვებს სიტყვებს წინადადებაში;
- ☀ ვერ იხსენებს ან დიდი დრო სჭირდება ფაქტების გასახსენებლად;
- ☀ უჭირს მეგობრების შეძენა და თანატოლებთან ურთიერთობა;
- ☀ აქვს სხეულის ენისა და სახის გამომეტყველების გაგების სირთულე.

ზემოთ ჩამოთვლილი ზოგიერთი სირთულე შესაძლებელია ნებისმიერი ბავშვის შემთხვევაში გამოვლინდეს, მაგრამ თუ მათი რაოდენობა ბევრია, დიდი ხნის მანძილზე გრძელდება და დროთა განმავლობაში ვერ უმჯობესდება, მაშინ შესაძლოა ვისაუბროთ დასწავლის უნარის დარღვევის არსებობაზე.

აღსანიშნავია, რომ დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს ზოგიერთი უნარი კარგად აქვთ განვითარებული. ხშირად ისინი ამ უნარების გამოყენებით მარტივად ახერხებენ თავიანთი სირთულეების კომპენსაციას, რაც, თავის მხრივ, დასწავლის უნარის დარღვევის იდენტიფიცირებას ართულებს.

1.5. დასწავლის უნარის დარღვევის თანმხლები ფსიქო-სოციალური სირთულეები

აკადემიურ უნარებთან დაკავშირებული სირთულეების გარდა, დასწავლის უნარის დარღვევას ხშირად თან ახლავს სხვადასხვა ფსიქო-ემოციური სირთულეები.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვი თითქმის ყოველდღიურად განიცდის სირცხვილის, შფოთვის, იმედგაცრუების, თავდაჯერებულობის ნაკლებობისა და სოციალური იზოლაციის სიტუაციებს. მსგავსი შემთხვევები გავლენას ახდენს ბავშვზე და იწვევს საკუთარ თავზე ნეგატიური წარმოდგენისა და დაბალი თვითშეფასების ჩამოყალიბებას. მათი სწავლის მოტივაცია მცირდება, რადგან, თანატოლებისგან განსხვავებით, დაბალი აკადემიური მოსწრების გამო ვერ იღებენ დადებით უკუკავშირს და შესაბამისად იშვიათად არიან საკუთარი თავით კმაყოფილები. ისინი განიცდიან საკუთარ წარუმატებლობას სკოლაში და ცდილობენ ამის გამოსწორებას, თუმცა ეს რთულად შესაძლებელია უფროსებისთვის. ამიტომ ბავშვები მათი მხრიდან მუდმივად იღებენ კრიტიკას, შენიშვნებსა და უკმაყოფილებას.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვი შეიძლება ბულინგის მსხვერპლიც გახდეს. დაბალი თვითშეფასების, იზოლაციისა და თანატოლებთან ურთიერთობის პრობლემების გამო მათ შესაძლოა გაუჩნდეთ სკოლასთან დაკავშირებული ფობია - სკოლაში წასვლისა და მშობლებთან განშორების შიში. ისინი ხშირად უარს ამბობენ სკოლაში წასვლაზე და ზოგჯერ შესაძლოა გამოვლინდეს ფსიქოსომატური სიმპტომები: გულისრევა, ტკივილი მკერდის არეში, ტემპერატურის მომატება, მუცლის ტკივილი და ა.შ. მსგავსი სიმპტომები ქრება დასვენების დღეებში და არადადეგებზე.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებში შესაძლოა გამოვლინდეს ქცევითი სირთულეები, რაც განპირობებულია სხვადასხვა მიზეზებით. ისინი შესაძლოა გრძნობდნენ ბრახს, სევდას, მარტოობას, იმედგაცრუებას, უპერსპექტივობას საკუთარი მდგომარეობიდან გამომდინარე. იმედგაცრუებას შესაძლოა იწვევდეს მათი დაბალი აკადემიური მიღწევების შედარება საკუთარ და თანატოლების შესაძლებლობებთან. მათ უჭირთ იმის ახსნა და გაგება, თუ რატომ არის მათთვის ასეთი რთული ზოგიერთი დავალების შესრულება ან რატომ აქვთ თანატოლებთან კომუნიკაციის დამყარების სირთულეები. შესაძლოა, არასასურველი ქცევის მიზეზს

წარმოადგენდეს რაიმე დავალების თავიდან არიდება ან განპირობებული იყოს ემოციური პრობლემების არსებობით.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის ემოციური და ქცევითი გამოვლინებები დამოკიდებულია მდგომარეობის გამომწვევ მიზეზებზე, მოცულობასა და სიმწვავეზე, გამკლავების მექანიზმებზე და რაც ყველაზე მნიშვნელოვანია მშობლისა და სკოლის მხრიდან შესაბამის მხარდაჭერაზე.

1.6. დასწავლის უნარის დარღვევის პროგნოზი

დასწავლის უნარის დარღვევა არის მდგომარეობა, რომელიც მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. პროგნოზი დამოკიდებულია დარღვევის სპეციფიკაზე. ზოგიერთ შემთხვევაში სირთულეები შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე, ხოლო რიგ შემთხვევაში, ერთ იზოლირებულ სფეროს, რომელსაც შესაძლოა მინიმალური გავლენა ჰქონდეს ბავშვის ფუნქციონირებაზე. აღსანიშნავია, რომ თანმიმდევრული და მუდმივი ჩარევის დროს შესაძლებელია სხვადასხვა უნარების გაუმჯობესება, თუმცა შესაძლოა ის მაინც ვერ გაუთანაბრდეს ასაკობრივ დონეს და ჩამორჩეოდეს თანატოლების შესაძლებლობებს.

თავი 2.

დასნავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკა

მოცემულ თავში ვისაუბრებთ იმის შესახებ, თუ რამდენად მნიშვნელოვანია პრობლემის ადრეული იდენტიფიცირება, ვის უნდა მიმართოს მშობელმა და როგორ მიმდინარეობს დიაგნოსტიკის პროცესი. ასევე, ყურადღება გამახვილებულია მშობლის როლსა და თანამონაწილეობაზე აღნიშნულ პროცესებში. ბოლოს განვიხილავთ, როგორ უნდა მიაწოდოს მშობელმა ბავშვს ინფორმაცია მისი მდგომარეობის შესახებ.

2.1. ადრეული იდენტიფიკაციის მნიშვნელობა

განვითარების პროცესში შესაძლოა ნებისმიერ ბავშვს შეექმნას გარკვეული სირთულე რომელიმე ერთ კონკრეტულ სფეროში, მაგრამ ეს არ ახდენდეს გავლენას მის ზოგად ფუნქციონირებაზე. დროთა განმავლობაში კი შეიმჩნეოდეს პროგრესი. გასათვალისწინებელია, რომ მშობელმა არ გააკეთოს ნაჩქარევი დასკვნა ბავშვის აკადემიური უნარებისა და შესაძლებლობების შესახებ და დააკვირდეს დინამიკას. თუმცა, ეს არ ნიშნავს იმას, რომ მშობელმა და მასწავლებლებმა ყურადღების

მიღმა დატოვონ რეალურად არსებული სირთულეები იმ მოლოდინით, რომ დროთა განმავლობაში პრობლემა დახმარების გარეშე აღმოიფხვრება. როდესაც ბავშვის სირთულეები თვალსაჩინოა და პროგრესი ძალიან ნელი ტემპით მიმდინარეობს, ამ შემთხვევაში საჭიროა მშობლის მხრიდან ქმედითი ნაბიჯების განხორციელება.

მიუხედავად იმისა, რომ მშობელს აქვს გარკვეული ეჭვები ბავშვის განვითარებასთან დაკავშირებით, შესაძლოა თავს არიდებდეს პროფესიონალთან მიმართვას. ერთ-ერთი მიზეზი შეიძლება იყოს მშობლის შეხედულება დიაგნოსტიკასთან დაკავშირებული რისკების შესახებ. მაგალითად, ფიქრობდეს, რომ ადრეულ ასაკში არასწორი დიაგნოზის დასმის დიდი შანსია ან მიღებულმა დიაგნოზმა განაპირობოს ბავშვისათვის იარლიყის მიწებება. თუმცა აღნიშნული ფაქტი არ ცვლის ადრეული შეფასების აუცილებლობას, რადგანაც დიაგნოზზე მნიშვნელოვანი ბავშვის ინდივიდუალური პროფილის შექმნაა, სადაც მოცემულია ინფორმაცია მისი ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ. რაც უფრო ადრეული ასაკიდან ხდება მუშაობა ბავშვის დეფიციტური უნარების განვითარებაზე, მით უფრო შესაძენეია პროგრესი.

2.2. ვის უნდა მიმართოს ოჯახმა და როგორ ხდება დიაგნოსტიკა

დასწავლის უნარის დარღვევის შეფასების ერთი კონკრეტული მეთოდი ან ინსტრუმენტი არ არსებობს. დიდი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა დებატები პროფესიონალებს შორის იმის შესახებ, თუ რა არის დასწავლის უნარის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტი კრიტერიუმები და, საბოლოოდ, სპეციალისტები შეთანხმდნენ, რომ მნიშვნელოვანია:

- ა) ბავშვის განვითარების, სამედიცინო და ოჯახის ისტორიის შესახებ ინფორმაციის ანალიზი;
- ბ) ინტელექტის, შემეცნებითი უნარების შეფასება სპეციალური ტესტების გამოყენებით;
- გ) ბავშვის პროგრესის შეფასება სხვადასხვა საგანმანათლებლო ჩარევაზე.

რა მეთოდით ან ინსტრუმენტის გამოყენებითაც არ უნდა შეფასდეს ბავშვი, აღნიშნული სამი ასპექტის შესახებ მონაცემების შეგროვებას დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოსტიკაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს.

დასწავლის უნარის დარღვევის იდენტიფიცირების ძირითადი კრიტერიუმი არის განსხვავება ბავშვის შემეცნებით უნარებს ან პოტენციალსა და კითხვის, წერის

ან/და ანგარიშთან დაკავშირებულ პრობლემებს შორის. შემეცნებითი უნარების შეფასებისთვის სპეციალისტები იყენებენ ინტელექტის სხვადასხვა ტესტებს. თუ ბავშვი აღნიშნულ ტესტში იღებს ნორმასთან შესაბამის ქულას, განვითარების ისტორიაში არ ფიქსირდება დასწავლის დარღვევის გამომწვევი მიზეზები, ბავშვს აქვს ხელშემწყობი გარემო, მაგრამ მაინც აქვს წერის, კითხვის ან ანგარიშის შესამჩნევი სირთულეები, სპეციალისტები ეჭვობენ დასწავლის უნარის დარღვევის არსებობაზე.

შეფასების პროცესში შეიძლება ჩაერთოს სხვადასხვა დარგის სპეციალისტი. პროფესიონალი, რომელსაც შეუძლია დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოზის დასმა, უნდა ფლობდეს მაგისტრის ან დოქტორის ხარისხს განათლების, ფსიქოლოგიის, ენისა და მეტყველების ან ნეიროფსიქოლოგიის სფეროში.

2.3. მშობლის როლი და მონაწილეობა შეფასების პროცესში

მშობელი შესაძლოა იყოს ის პირველი ადამიანი, რომელმაც შენიშნოს ბავშვის წინაშე არსებული სირთულეები. მას განსაკუთრებულად დიდი როლი აქვს როგორც პრობლემის იდენტიფიკაციის, ასევე, შემდგომში დიაგნოსტიკის პროცესში. როგორც უკვე აღვნიშნეთ ბავშვის შეფასება გულისხმობს მრავალფეროვანი ინფორმაციის

შეგროვებას ბავშვის ფუნქციონირების სხვადასხვა სფეროებზე. მანამ, სანამ განხორციელდება უშუალოდ ბავშვის შეფასება, მნიშვნელოვანია, შედგეს მშობლისა და სპეციალისტის ინტერვიუ, რომლის დროსაც მან პროფესიონალს უნდა მიწოდოს ინფორმაცია:

- ❄ ბავშვის განვითარების მიმდინარეობის შესახებ;
- ❄ ორსულობის პერიოდის მიმდინარეობის შესახებ;
- ❄ ბავშვის სამედიცინო ისტორიის შესახებ, აქვს თუ არა გადატანილი რაიმე ინფექცია, ვირუსი, ოპერაცია და ა.შ.;
- ❄ ოჯახური ისტორიის შესახებ, ჰქონდა თუ არა ვინმეს მსგავსი ტიპის ან რაიმე სხვა სახის სირთულეები;
- ❄ ბავშვის არსებული პრობლემების შესახებ, როდის შენიშნა მშობელმა სირთულეები, როგორ ვლინდება და უშლის თუ არა ხელს ფუნქციონირებაში.

ასევე, მნიშვნელოვანია, რომ ინტერვიუს დროს მშობელმა სპეციალისტს მიაწოდოს სკოლის პერსონალის ხედვა ბავშვის ძლიერი და სუსტი მხარეების შესახებ, იმ შემთხვევაში, თუ ვერ ხერხდება უშუალოდ სკოლის წარმომადგენლისა და პროფესიონალის კომუნიკაცია.

2.4. ოჯახის მიერ დიაგნოზის მიღება

კვლევების მიხედვით, დასწავლის უნარის დარღვევის დიაგნოზის მიღება მშობელთა უმეტესობისთვის სტრესულ მოვლენას წარმოადგენს, განსაკუთრებით კი საწყის ეტაპზე, მანამ, სანამ ისინი საკუთარ თავში აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავების ძალას იპოვიან. მშობელთა თავდაპირველი რეაქცია ბავშვის დიაგნოზის გაგებაზე, შესაძლოა, მოიცავდეს შემდეგს:

- ❄ შიში და/ან შფოთვა;
- ❄ დანაშაულის განცდა;
- ❄ ბავშვის დაცვისა და მისი მზრუნველობის გამმაფრებული მოთხოვნილება;
- ❄ ბავშვის შეცოდება.

მშობლების უმეტესი ნაწილი თავდაპირველ ნეგატიურ გამოცდილებასთან გამკლავებას ახერხებს სხვადასხვა სტრატეგიებით. ყველაზე ეფექტური გზაა ბავშვისათვის შესაბამისი ინტერვენციის პროგრამების მოძიება და ჩართვა, რის შემდეგაც მშობელს უმცირდება შფოთვის დონე და აქვს კონკრეტული ხედვა ბავშვის უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. დიაგნოზის მიღების ხელშემწყობი ფაქტორებია:

- ❄ ბავშვის შეფასების პროცესში თანამონაწილეობა;
- ❄ სპეციალისტებისაგან ბავშვის მდგომარეობების შესახებ ინფორმაციისა და რეკომენდაციების მიღება;

- ❄ ბავშვის საგანმანათლებლო პროცესის ხელშეწყობაში უშუალო ჩართულობა და პროგრესის მონიტორინგი;
- ❄ ბავშვის ძლიერ მხარეებზე აქცენტის გაკეთება და მისი მიღწევების შემჩნევა;
- ❄ ჩართვა ისეთ ორგანიზაციებსა და მცირე ჯგუფებში, სადაც გაერთიანებულნი არიან დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვების მშობლები და თითოეულ მათგანს აქვს საკუთარი გამოცდილების გაზიარების შესაძლებლობა.

2.5. როგორ აკუსხნათ ბავშვის დიაგნოზი

მშობელი თავად იღებს გადაწყვეტილებას როდის და როგორ უნდა აუხსნას და მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის მისი მდგომარეობის შესახებ. ყველაზე მეტად მათ შვილის ასაკი აღელვებთ, რადგან ფიქრობენ, რომ გაუჭირდებათ მიღებული ინფორმაციის გააზრება. რეალურად, ბავშვების უმეტესობა, სკოლის ადრეულ ეტაპზეც კი, მარტივად აცნობიერებს თუ რა ძალისხმევა სჭირდება მას სწავლის პროცესში და რომ „რადაც რიგზე ვერ არის“. სამწუხაროდ, მათი უმეტესობა პრობლემების მიზეზს საკუთარ თავს მიაწერს და ფიქრობს, რომ საკმარისად ჭკვიანი არ არის. შედეგად, განიცდის მუდმივ სტრესს დაბალი თვითშეფასების გამო. როდესაც ბავშვი იგებს, რომ სწავლასთან დაკავშირებული სირთულეები არ არის კავშირში მის გონებრივ უნარებთან ან ძალისხმევის

ნაკლებობასთან, თავისუფლდება საკუთარი თავის შესახებ არსებული უარყოფითი წარმოდგენებისაგან. ბავშვთან საუბრის დროს სასურველია გამოვიყენოთ ტერმინები „დისგრაფია“, „დისლექსია“ ან „დისკალკულია“, ვიდრე „დასწავლის უნარის დარღვევა“.

კვლევები ადასტურებენ, რომ დაბალი თვითშეფასებისა და ფსიქოლოგიური პრობლემების რისკი მცირეა დასწავლის უნარის დარღვევის მქონე იმ ბავშვებში, რომლებსაც:

- ❄ აქვთ მაღალი თვითცნობიერება ანუ იციან საკუთარი სუსტი და ძლიერი მხარეები, შეუძლიათ გარკვეული სტრატეგიების შემუშავება და თავიანთ სირთულეებს აღიქვამენ, როგორც გამოწვევებს;
- ❄ აქვთ განცდა, რომ საკუთარ ცხოვრებას თავად აკონტროლებენ;
- ❄ იღებენ საკუთარ თავს ისეთებს როგორებიც არიან.

ადრეულ ასაკში, უმჯობესია, მშობელმა ბავშვის ინფორმირების პროცესში აქცენტი გააკეთოს კონკრეტულ პრობლემურ სფეროზე (მაგ.: წერაზე, დამარცვლაზე, კითხვაზე), ხოლო ასაკის მატებასთან ერთად სასურველია მიაწოდოს ფაქტობრივი ინფორმაცია დასწავლის უნარის დარღვევის შესახებ.

თავი 3.

დასწავლის უნარის დარღვევის მეორე ბავშვის დახმარება

მოცემულ თავში განვიხილავთ დასწავლის უნარის დარღვევის დროს ინტერვენციის გზებსა და სხვადასხვა დარგის სპეციალისტების როლს ბავშვის განვითარების ხელშეწყობის პროცესში. ინტერვენცია არის სხვადასხვა სტრატეგიებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომლის განხორციელების შედეგად ადამიანის მდგომარეობა უმჯობესდება.

3.1. რა სახის ინტერვენცია ხდება დასწავლის უნარის დარღვევის დროს

ადრეული ინტერვენცია (ჩარევა) მნიშვნელოვანია ყველა იმ ბავშვისთვის, რომელსაც ვამჩნევთ სირთულეებს კითხვის, წერის ან სხვა აკადემიური უნარების მხრივ. შესაძლოა, ჯერ კიდევ არ იყოს დადგენილი აქვს თუ არა ბავშვს დასწავლის უნარის დარღვევა და მაინც იყოს საჭირო მისი დახმარება. ხშირად მშობლებისთვის საყურადღებოა შემდეგი სახის სირთულეები:

- 💡 ბავშვი ვერ ახერხებს მითითებულ ასო-ბგერაზე სიტყვების დასახელებას;
- 💡 ვერ ცნობს და იმახსოვრებს ანბანის ასოებს;
- 💡 ვერ ცნობს და იმახსოვრებს ციფრებს;
- 💡 სწავლის შემდეგ ადვილად ავიწყდება როგორ იწერება ესა თუ ის რიცხვი და ასო;
- 💡 მარტივ სიტყვებს კითხულობს ნელ-ნელა;
- 💡 დასაწყისის მიხედვით უჭირს სიტყვის ამოცნობა;
- 💡 ვერ იმახსოვრებს და იმეორებს წინადადებებს;
- 💡 ნაცნობი საგნების დასახელებისთვის სჭირდება დიდი დრო.


ყველა ზემოთ ჩამოთვლილი უნარი დაკავშირებულია სააზროვნო პროცესებთან და მეხსიერებასთან. როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებს ხშირად აქვთ ფონოლოგიური, ორთოგრაფიული, მუშა მეხსიერების სირთულეები. შესაბამისად, აღნიშნული უნარების განვითარების ხელშეწყობა ადრეული ასაკიდანვე მნიშვნელოვანია. ფონოლოგიური გადამუშავება გულისხმობს ასო-ბგერების სიტყვებად, სიტყვების წინადადებებად გარდაქმნის პროცესს. სწორედ მისი საშუალებით სწავლობს ბავშვი მისთვის მშობლიურ ენაზე საუბარს. ორთოგრაფია კი წერილობით ენასთანაა დაკავშირებული, მოიცავს როგორც ცალკეული ასოების, ასევე სიტყვებისა და წინადადებების სწორად წერას.

მუშა მეხსიერება გულისხმობს იმ მცირე ინფორმაციის დამახსოვრებას, რომელიც საჭიროა მოქმედების განხორციელების პროცესში. მაგალითად: როდესაც ბავშვი ასრულებს რამდენიმე საფეხურიან მარტივ ინსტრუქციას, „ამოიღე წიგნი ჩანთიდან და გადაშალე“ ან რაიმე არითმეტიკულ ამოცანას „ბიჭს აქვს 5 ვაშლი და 2 შეჭამა, რამდენი დარჩა მას?“. ამ ამოცანისა და მოქმედების შესრულებისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი როლს მუშა მეხსიერება ასრულებს.

როგორც ვიცით, დასწავლის უნარის დარღვევის სირთულები უმეტესად სკოლის პერიოდში იჩენს თავს. გამომდინარე იქიდან, რომ თითოეული ბავშვი თავისი შესაძლებლობებით, ძლიერი მხარეებითა და საჭიროებებით ერთმანეთისაგან განსხვავდება, დახმარების ხარისხი და სტრატეგიებიც განსხვავებულია. როდესაც მშობელი ხედავს, რომ ბავშვი აწყდება პრობლემებს კითხვის, წერის ან ანგარიშის პროცესში, საჭირო ხდება სკოლის პერსონალთან ერთად დაგეგმვა თუ როგორ უნდა მოხდეს მისი სუსტი მხარეების განვითარება, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში, საჭიროა სპეციალისტის ჩართვა. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია მშობლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი. თუ მარცხენა სვეტში მოცემულ დებულებებზე თქვენი პასუხია „არა“, ბავშვის სირთულეებზე ზრუნვა საგანმანათლებლო გარემოს

ფარგლებშია შესაძლებელი, ხოლო, თუ თქვენი პასუხია „დიახ“, საჭირო ხდება ბავშვისთვის სპეციალისტისა და ჩარევის (ინტერვენციის) პროგრამის შერჩევა.

მშობლის მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესი



არსებობს მრავალი პროგრამა, რომელიც გამოიყენება დასწავლის უნარის მქონე ბავშვის სხვადასხვა უნარების განვითარებისთვის, თუმცა მათი შერჩევის დროს გასათვალისწინებელია რამდენიმე ფაქტორი:

☀ მნიშვნელოვანია, რომ ჩარევის მეთოდი იყოს მტკიცებულებებზე დაფუძნებული, რაც ნიშნავს, რომ მისი ეფექტურობა კვლევებითაა დადასტურებული;

☀ ჩარევის მეთოდი უნდა იყოს მულტისენსორული, რაც ნიშნავს, რომ სწავლების პროცესში ჩართულია შეგრძნების ყველა არხი: მხედველობა, სმენა, ყნოსვა, შეხება და გემო.;

☀ ჩარევის მეთოდი უნდა იყოს სტრუქტურირებული, რაც გულისხმობს, რომ სწავლება ხორციელდება ნაბიჯ-ნაბიჯ, ბავშვის წინარე ცოდნის გათვალისწინებითა და მასზე ახალი ცოდნისა და უნარების დაშენებით.

ასეთი მეთოდებია პირდაპირი ინსტრუქციის (Direct Instruction programs) და ასო-ბგერის სტრუქტურირებული სინთეზი (Structured Synthetic Phonics programs).

პირდაპირი ინსტრუქციის მოდელი წარმოადგენს აქტიური სწავლების ერთ-ერთ მეთოდს, რომელიც გულისხმობს ზუსტი, კონკრეტული, მოკლე ინსტრუქციების მიწოდებას ნაბიჯ-ნაბიჯ ახალი უნარის ათვისების თითოეულ ეტაპზე. ამ მეთოდის გამოყენების ძირითადი სპეციფიკა მდგომარეობს იმაში, რომ რომ ხდება ამა თუ იმ უნარის სრულყოფილი დაუფლება და სწავლების პროცესის რეგულარული შეფასება. თუ ბავშვმა უნდა აითვისოს რომელიმე კონკრეტული ასო-ბგერა, მაგალითად „ა“, ეს

ეტაპი დასრულებულად ჩაითვლება მაშინ, როდესაც ის მოახერხებს ამ ასო-ბგერის სრულყოფილად ათვისებას, როგორც წერით, ასევე - კითხვით. მხოლოდ ამის შემდეგაა შესაძლებელი ახალი მიზნის დასახვა. აღნიშნული მოდელის შემოკლებულ სახელწოდებას წარმოადგენს DISTAR (Direct Instruction System for Teaching Arithmetic and Reading), რაც ითარგმნება, როგორც პირდაპირი ინსტრუქციების სისტემა მათემატიკისა და კითხვის სწავლებაში. აღნიშნული მიდგომა გამოყენებულია წიგნში „100 მარტივი გაკვეთილი“, რომლის ინგლისურენოვანი ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე:

<http://people.uncw.edu/kozloffm/100%20Easy%20Lessons%20Revised.pdf>

ასო-ბგერის სტრუქტურირებული სინთეზის პროგრამა ეხმარება ბავშვს დაამყაროს კავშირი ბგერასა (ფონემა) და ასოებს (გრაფემა) შორის კითხვის დროს. ამ მეთოდის გამოყენებისას, თავდაპირველად ბავშვებს ასწავლიან მარტივი სიტყვებისა და მარცვლების ამოკითხვას და დამარცვლას და თანდათანობით ხდება გადასვლა უფრო რთულ და კომპლექსურ სიტყვებზე.

3.2. როგორ გვეხმარებიან პროფესიონალები

პროფესიონალების ჩართვის საჭიროება დამოკიდებულია ბავშვის კონკრეტულ მდგომარეობასა და საჭიროებებზე. ქვემოთ განვიხილავთ, თუ ვინ შეიძლება ჩაერთოს ბავშვთან მუშაობის პროცესში და რა ფუნქცია აქვთ თითოეულ მათგანს დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში.

სკოლის ფსიქოლოგი/განათლების ფსიქოლოგი - არის ადამიანი, რომელიც კომპეტენტურია, როგორც ფსიქოლოგის, ასევე განათლების სფეროს მიმართულებით. მას აქვს შესაძლებლობა შეაფასოს რა გავლენას ახდენს და როგორ აისახება ბავშვის კოგნიტური უნარები დასწავლის პროცესში. უმეტეს შემთხვევაში, სწორედ სკოლის ფსიქოლოგი არის ის პროფესიონალი, რომელიც უშუალოდ ჩართულია სკოლასა და ბავშვს შორის ურთიერთობაში, ასევე უზრუნველყოფს პროგრესის მონიტორინგს.

სპეციალური მასწავლებელი აფასებს ბავშვის აკადემიურ უნარებს, ზუსტად განსაზღვრავს წერის, კითხვის, ფონოლოგიური უნარებისა და ანგარიშის მიმდინარე მდგომარეობას. ეხმარება ბავშვს ამ უნარების განვითარებაში და ასევე შეუძლია შეიმუშავოს სწავლების სტრატეგიები სკოლის მასწავლებლებისა და მშობლისათვის.

მასწავლებელი ჩართულია ბავშვის საგანმანათლებლო ცხოვრების ყოველდღიურობაში. იყენებს ბავშვის მიმართ ინდივიდუალურ მიდგომასა და სწავლების სხვადასხვა სტრატეგიებს, რათა უზრუნველყოს ბავშვის ჩართვა საგაკვეთილო პროცესში და დასახული მიზნების მიღწევა. მასწავლებელს შეუძლია მოგაწოდოთ ყოველდღიური ინფორმაცია ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შესახებ.

ენისა და მეტყველების თერაპევტი ჩართვა საჭირო ხდება იმ შემთხვევაში, თუ ბავშვს აღენიშნება მეტყველებასთან დაკავშირებული სირთულეები. რადგანაც მეტყველების პრობლემები ხშირად წინ უსწრებს დასწავლის უნარის დარღვევას, მეტყველების სპეციალისტის ჩართვა უფრო მეტად ადრეულ ასაკშია რეკომენდირებული.

ოკუპაციური თერაპევტი ეხმარება ბავშვს კოორდინაციისა და ბალანსის შენარჩუნების სირთულის არსებობის შემთხვევაში. რადგანაც აღნიშნული სირთულეები ხშირად დაკავშირებულია წერისა და მოძრაობის სიძნელეებთან.

ფსიქოთერაპევტის საჭიროება ხდება დასწავლის უნარის დარღვევის თანმხლები ისეთი პრობლემების მართვისათვის, როგორებიცაა: დაბალი თვითშეფასება, მოტივაცია, გაძლიერებული შფოთვა, თავდაჯერებულობის ნაკლებობა.

თავი 4.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვთა განათლება

მოცემულ თავში ვისაუბრებთ: დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის სასკოლო ცხოვრებაზე; რა სირთულებები შეიძლება გამოვლინდეს, როგორ ხდება საგანმანათლებლო პროცესის დაგეგმვა; მშობლის ჩართულობის მნიშვნელობაზე ბავშვის სასკოლო ცხოვრებაში.

4.1. სირთულეები და გამოწვევები საკლასო

გარდა აკადემიური სირთულეებისა, რომელიც თანახლავს დასწავლის უნარის დარღვევას, ის გავლენას ახდენს და აისახება ბავშვის ყოველდღიური ცხოვრების სხვადასხვა სფეროზე. წერის, კითხვისა და ანგარიშთან დაკავშირებული სირთულეების გარდა ბავშვს შესაძლოა ჰქონდეს სიძნელე სოციალიზაციისა და ემოციური სფეროს მხრივ. მაგალითად, გაუჭირდეს თანატოლებთან დამეგობრება, ვერ გამოხატოს საკუთარი ემოციები, გაუჭირდეს სხვისი ემოციური მდგომარეობის ამოცნობა. ხშირად, დასწავლის უნარის დარღვევის დროს ბავშვები

კარგავენ მოტივაციას სწავლის მიმართ, თავს გრძნობენ გარიყულად და აქვთ დაბალი თვითშეფასება.

იმის მიხედვით, თუ კონკრეტულად რა საჭიროება აქვს ბავშვს, მასწავლებელს შეუძლია განახორციელოს სხვადასხვა სახის ცვლილებები როგორც საკლასო ოთახის ფიზიკურ გარემოში, ასევე, მასალებში, რესურსებში, ინფორმაციის მიწოდების სტილსა და სწავლების სტრატეგიებში. მაგალითად, მისცეს ბავშვს დამატებითი დრო დავალების შესასრულებლად ან გამოიყენოს დამხმარე მინიშნებები დავალების შესრულების პროცესში. ასევე, შესაძლებელია მასწავლებელმა ბავშვის ცოდნის შეფასების განსხვავებული მეთოდი გამოიყენოს. მაგალითად, თუ მისი ძირითადი სირთულეები დაკავშირებულია წერასთან, მასწავლებელს შეუძლია შეფასებისათვის გამოიყენოს დახურული პასუხებისაგან შედგენილი ტესტი ან ბავშვის ცოდნა შეაფასოს ზეპირი გზით. ქვემოთ მოცემულ ცხრილში ნაჩვენებია აკომოდაციის (სასწავლო გარემოსა და სტრატეგიების ცვლილება ისე, რომ ბავშვი უფრო მარტივად მოერგოს გარემოს) რამდენიმე გზა, რომლის გამოყენებითაც დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვისათვის სწავლების პროცესი უფრო მარტივი ხდება.

რესურსები 	* აუდიო წიგნების გამოყენება * სურათების, ვიზუალური მასალის გამოყენება * შრიფტის ზომის გაზრდა * ტექსტის მარკირება * სანერი ფურცლის ზომის გადიდება * დიდი ზომის კვადრატებისგან შექმნილი სანერი ფურცლის მიწოდება * კომპიუტერის გამოყენება ბეჭდვისათვის
სწავლის ტექნიკები 	✎ მოკლე ინსტრუქციების მიწოდება ✎ ვერბალური და წერილობითი ინსტრუქციების მიწოდება ერთდროულად ✎ მცირე ჯგუფებში მუშაობა ✎ ინსტრუქციის ინდივიდუალურად მიწოდება ✎ ინსტრუქციის გამეორება ✎ ჩექლისთვის მიწოდება გაკვეთილის ორგანიზებისათვის
საკლასო სამუშაო 	💡 პასუხის გაცემის განსხვავებული მეთოდის შერჩევა 💡 დავალებების მიწოდება მარტივიდან რთულისკენ 💡 ცოდნის დემონსტრირებისათვის სხვადასხვა გზების შეთავაზება (პრეზენტაცია, პოსტერი და ა.შ.)

ხშირად მშობლებსა და მასწავლებლებს აქვთ დაბალი მოლოდინები ბავშვის მიმართ, რადგანაც მას დასწავლის უნარის დარღვევა აქვს. სინამდვილეში კი მეტად ეფექტურია, რომ მშობელი იყოს მხარდამჭერი ბავშვის მიმართ, ამხნევებდეს, ხელს უწყობდეს და ჩართული იყოს მისი განვითარების პროცესში. მნიშვნელოვანია, რომ სკოლა და ოჯახი ერთად ზრუნავდეს ბავშვის საჭიროებების განვითარებაზე. გამომდინარე იქიდან, რომ დასწავლის უნარის დარღვევის დროს სირთულეები წამყვანია აკადემიურ სფეროში, ბავშვისთვის რთულდება საგნობრივი პროგრამის მიზნების მიღწევა. შესაძლოა, მას დასჭირდეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, რომელშიც გაწერილი იქნება მისაღწევი მიზნები და ამ მიზნების მიღწევის სტრატეგიები.

ინდივიდუალური სასწავლო გეგმის მრავალი სახე არსებობს, თუმცა ყველა მათგანი უნდა იყოს მკაფიო და მარტივად გადმოცემული. ინდივიდუალური გეგმა წარმოადგენს ერთგვარ სამოქმედო გეგმას ბავშვთან მუშაობის პროცესში და მასში მოცემულია:

- ✎ გრძელვადიანი და მოკლევადიანი მიზნები;
- ✎ ინფორმაცია საჭირო მასალებისა და რესურსების შესახებ;
- ✎ ინფორმაცია თავდაპირველი შეფასებისა და მიღწეული შედეგების შესახებ;

 ინფორმაცია იმ სპეციალისტებისა და იმ პირების შესახებ, რომლებიც ჩართულნი არიან გეგმის განხორციელების პროცესში.

არსებობს შემთხვევები, როდესაც საჭირო ხდება სკოლის სივრცეში მასწავლებლების გარდა ბავშვთან მუშაობის პროცესში ჩაერთოს სპეციალური მასწავლებელი. სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობას იღებს, როგორც შეფასების, ასევე დაგეგმვის და დასახულის მიზნების მიღწევის პროცესში.

4.2. მშობელთა როლი სწავლების პროცესში

როდესაც მშობელი და სკოლა ერთმანეთთან ჰარმონიულად ურთიერთთანამშრომლობს, ეს ყოველთვის დადებითად აისახება ბავშვის მდგომარეობასა და პროგრესზე. მნიშვნელოვანია, მშობელმა მასწავლებლებს დროულად მიაწოდოს ინფორმაცია ბავშვის შეფასების შედეგების ან ინტერვენციის პროგრამის მიმდინარეობის შესახებ, თუმცა, მეორე მხრივ, ეს არ არის სკოლისთვის საკმარისი. სკოლას უნდა ჰქონდეს საკუთარი ხედვა, როგორც ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების, ასევე - მისი განვითარების მხარდაჭერის შესახებ.

მშობელსა და სკოლას შორის ურთიერთობა, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორმხრივ ხასიათს უნდა ატარებდეს. მშობელი აწვდის მათ ინფორმაციას მისი შვილის შესახებ და, ასევე, ცდილობს თავადაც მოიპოვოს ინფორმაცია ბავშვის სასკოლო ცხოვრებისა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. ქვემოთ მოცემულია იმ შეკითხვათა ჩამონათვალი, რომლებზე მიღებული პასუხები მშობლებს დაეხმარებათ ბავშვის საჭიროებების ხელშეწყობაში.

-  როგორ ურთიერთობს ბავშვი თანატოლებთან?
-  მონაწილეობს თუ არა ჯგუფურ აქტივობებში?
-  როგორ შემიძლია დავეხმარო მას სუსტი მხარეების განვითარებაში?
-  რა სტრატეგიებს იყენებს მასწავლებელი ბავშვთან მუშაობის პროცესში?
-  როგორ აისახება ბავშვის მდგომარეობა თავად მასზე და სხვა მოსწავლეებზე?
-  რა უნდა დაგეგმოს სკოლამ და მშობელმა ერთად, იმისათვის, რომ ხელი შეუწყონ ბავშვის სწავლების პროცესს.

იმისათვის, რომ მშობელმა ამ და სხვა მისთვის მნიშვნელოვან შეკითხვებზე მიიღოს უკუკავშირი, საჭიროა ჯგუფური შეხვედრის დაგეგმვა სკოლის წარმომადგენლებთან ერთად. შეხვედრას, სასურველია, დაესწროს

ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ჩართულია საგანმანათლებლო პროცესში. ასევე, სკოლის ფსიქოლოგი ან სპეციალური მასწავლებელი.

ბავშვს, რომელსაც დასწავლის უნარის დარღვევა აქვს, შეუძლია სუსტი მხარეების განვითარება და პროგრესის მიღწევა. შედეგი მით უფრო ეფექტურია, რაც უფრო შეთანხმებულად და ერთდროულად ზრუნავს ოჯახი, სკოლა და პროფესიონალები ბავშვის განვითარებაზე.

თავი 5.

დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის დახმარების სტრატეგი- ბი მშობლებისათვის

როგორც უკვე აღვნიშნეთ, დასწავლის უნარის მქონე ორი იდენტური ბავშვი არ არსებობს. სწორედ ამიტომ დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ძლიერი მხარეებისა და საჭიროებების შეფასებას. ის, თუ რა უნარების განვითარებაზეა მუშაობა პრიორიტეტული, დამოკიდებულია კონკრეტული ბავშვის ინდივიდუალურ შემთხვევაზე.

როგორც ვიცით, დასწავლის უნარის დარღვევის რამდენიმე სახე არსებობს და თითოეული ფორმის მიხედვით განსხვავებულია სირთულის სპეციფიკა და ინტენსივობა. დისლექსიის დროს გამოვლენილი კითხვის სირთულე შეიძლება სხვადასხვა სიძლიერით ვლინდებოდეს. მაგალითად, ერთ შემთხვევაში ბავშვს შეიძლება უჭირდეს ანბანის ასოების ცნობა, ხოლო მეორე შემთხვევაში ცნობდეს ასოებს, მაგრამ ვერ ამთლიანებდეს.

გარდა კითხვის, წერისა და ანგარიშთან დაკავშირებული სირთულეებისა, დასწავლის უნარის დარღვევას შეიძლება

თან ახლდეს კოგნიტური ანუ შემეცნებითი სფეროს სირთულეებიც. აღნიშნული სფეროები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და შესაბამისად, მნიშვნელოვანია ორივე მათგანის განვითარებაზე ზრუნვა. მაგალითად, თუ ბავშვს აქვს ვიზუალურ-სივრცითი აღქმის სირთულე, მას გაუჭირდება ფორმით ერთმანეთის მსგავსი ასოების გარჩევა (მაგალითად: „შ“ და „წ“, „მ“ და „ნ“).

ამ თავში განვიხილავთ სტრატეგიებსა და აქტივობებს, რომელიც დაეხმარება მშობელს ბავშვის განვითარების ხელშეწყობაში. ის შეძლებს დაეხმაროს ბავშვს წერის, კითხვისა და ანგარიშისთვის საჭირო უნარ-ჩვევების გამომუშავებაში.

რადგანაც დასწავლის უნარის დარღვევას შეიძლება თან ახლდეს თვითშეფასების, მოტივაციის, ქცევის სირთულეები, განვიხილავთ იმ სტრატეგიებს, რომელიც დახმარება მშობელს აღნიშნულ გამოწვევებთან გამკლავებაში.

5.1. აკადემიური უნარების განვითარების ხელშეწყობი სტრატეგიები და აქტივობები

კითხვა, წერა, ანგარიში, დამარცვლა აკადემიურ უნარებს მიეკუთვნება. განვიხილოთ თითოეული მათგანის განმავითარებელი სტრატეგიები და აქტივობები.




კითხვა არის კომპლექსური გონებრივი უნარი, რომლის დროსაც ხდება ცალკეული ასოების აღბეჭდვა, შემდეგ კი დეკოდირება - ანუ სიტყვის შინაარსის ამოცნობა. იმისთვის, რომ ბავშვმა შეძლოს კითხვა, ის უნდა ახერხებდეს თავი გაართვას შემდეგ ამოცანებს:

- ცნობდეს ასოებს
- აკავშირებდეს ასოებს ბგერებთან
- გამომუშავებული ჰქონდეს ფონოლოგიური უნარ-ჩვევები


ქვემოთ მოცემულია აღნიშნული უნარების განმავითარებელი აქტივობები.

ასოების ცნობა და დასახელება - როდესაც ბავშვს ვასწავლით ასოების ცნობას, მნიშვნელოვანია, რომ 33-ვე ასობგერა მივაწოდოთ არა ერთიანად, არამედ ნაწილ-ნაწილ. ასევე, სასურველია, სწავლების პროცესში ვიზუალური მასალის გამოყენება.



მოცემული მასალით შეგვიძლია შემდეგი აქტივობების განხორციელება:

- 😊 დაასახელეთ ასო-ბგერა და ბავშვმა უნდა იპოვოს. მაგ: სად არის „ბ“? თუ ბავშვი ვერ ცნობს დაეხმარეთ მინიშნებით, „ბ- ბანანი“.
- 😊 დაადეთ თითო რომელიმე ნახატს და სთხოვეთ ბავშვს დაასახელოს რა ასოზე იწყება.
- 😊 მიაწოდეთ ბავშვს ნაცნობი ასოები და ამ ასოებზე დაწყებული სიტყვის გამოსახულებები ცალ-ცალკე, მან კი დააკავშიროს ერთმანეთთან.
- 😊 აჩვენეთ ბავშვს სურათი და დასაწყისი ასო-ბგერის რამდენიმე გამოსახულება. მან უნდა გამოიცნოს ნაჩვენები ასოებიდან რომელია **სწორი და აღნიშნოს** (შემოხაზოს ან გააფერადოს)



იპოვე და გააფერადე - ბავშვს ვაწვდით ნაცნობი ასოების ცხრილს და ვთხოვთ, რომ იპოვოს რომელიმე მათგანი და გააფერადოს. სასურველია, რომ ასოები სხვადასხვა ფერით და ზომით იყოს მოცემული, რაც ბავშვს კიდევ უფრო ეხმარება მის დამახსოვრებაში. თავდაპირველად ნიმუშის სახით მიეცით მაგალითი (თანდათან, შესაძლოა, დავალება გართულდეს იმით, რომ ერთი ასო-ბგერის ნაცვლად ბავშვს ვთხოვთ ორის ან სამის პოვნა).



მგავსი ფორმის ასოების გარჩევა - იმისთვის, რომ ბავშვმა იოლად შეძლოს მსგავსი ფორმის ასოების ერთმანეთისაგან გარჩევა შეიძლება გამოვიყენოთ ერთგვარი ვიზუალური ხრიკი. ბავშვს ვუხატავთ დიდი ზომის ფურცლზე „წ“ და „შ“ ასო-ბგერებს, რომლებიც საუკეთესო მეგობრები არიან და ამიტომ მუდამ ერთმანეთს უყურებენ.




ასევე, მსგავსი ფორმის ასოების გარჩევისათვის შესაძლებელია მშობელმა ბავშვს მიაწოდოს ასოების ცხრილი, რომელშიც მან განსხვავებული ფერებით უნდა მონიშნოს ასოები.

გააფერადე «ძ»  და «ხ» 

ძ	ძ	ხ	ხ	ძ	ხ	ძ	ხ	ხ	ძ	ძ
ხ	ხ	ძ	ხ	ძ	ხ	ხ	ძ	ძ	ხ	ხ
ძ	ხ	ძ	ხ	ხ	ძ	ძ	ხ	ხ	ძ	ხ
ძ	ხ	ხ								

ასევე, შესაძლებელია, გამოვიყენოთ მსგავსი ტიპის აქტივობა. გაითვალისწინეთ, რომ ამ დავალებაში ბავშვს ინსტრუქცია მიწოდეთ მხოლოდ ვერბალურად.



გამოიცანი რა ასოა - ბავშვს ვაწვდით დიდი ზომის მყარ მასალაზე გამოჭრილ ასოებს. მან თვალები უნდა დახუჭოს და ისე გამოიცნოს რომელი ასო-ბგერა აქვს ხელში.

იპოვე სიტყვები - ბავშვს ვაწვდით ასოებისაგან შემდგარ ცხრილს, რომელშიც ჩამალულია სიტყვები. მან უნდა გადაავლოს თვალი თითოეულ რიგს და იპოვოს რა სიტყვებია ცხრილში მოცემული. მაგალითად, პირველ

ხაზზე მოცემულია დავალების ნიმუში, ხოლო მეორე ხაზზე შესრულებული ვერსია.

ისპდხმნსდმანქანაოსდფოიწეტჰვნ



სჯჰდიუჰწეუბფბჯკურდღელისდღ



წყვილში კითხვა - აღნიშნული ტექნიკა ეხმარება ბავშვს კითხვის უნარის გაუმჯობესებაში. მნიშვნელოვანია, რომ აკონტროლოთ თქვენი ტემპი იმისათვის, რომ ბავშვი პასიურად არ იმეორებდეს თქვენს ნათქვამს. შეეცადეთ, რომ წყვილში კითხვის დროს თქვენ და ბავშვი ერთდროულად კითხულობდეთ. თუ კითხვის პროცესში ბავშვი დაუშვებს შეცდომას, შეჩერდით და მიანიშნეთ შეცდომაზე. სასურველია, თავად შეასწოროს. წყვილში კითხვის მეორე ვარიანტია, რომ ჯერ მშობელი კითხულობს წინადადებას ან სიტყვას, შემდეგ კი ბავშვი იმავე წინადადებას ან სიტყვას.

ტექსტის მარკირება - ეხმარება ბავშვს მარტივად განარჩიოს ერთმანეთისაგან წინადადებები. თუ ბავშვს უჭირს სასვენი ნიშნებთან პაუზის დაცვა, შესაძლებელია, რომ წინადადებებს შორის დავსვით მკვეთრი ხაზები. ასევე შესაძლებელია, სხვადასხვა ფერით გააფერადოს ცალკეული სიტყვები ან წინადადებები.

ვიზუალური მიმანიშნებლების გამოყენება - საწყის ეტაპზე ეფექტურია, თუმცა, მნიშვნელოვანია, გავითვალისწინოთ, რომ კარგ მკითხველს უნდა შეეძლოს მხოლოდ წერილობითი ინფორმაციის საფუძველზე შინაარსის გაგება. ამიტომ, თუ პირველ ჯერზე ბავშვს მიაწვდით ტექსტს ილუსტრაციებით, შემდეგში სასურველია იგივე ტექსტის წაკითხვა სცადოთ მათ გარეშე.

წაკითხულის შინაარსის გააზრება - დაუსვით მარტივი შეკითხვების თუ ბავშვი ვერ პასუხობს, მიუთითეთ ტექსტის შესაბამის ეპიზოდზე და დაეხმარეთ, რომ თავად იპოვოს პასუხი. ტექსტის შინაარსის გაგებისათვის გამოიყენეთ შემდეგი სახის სქემა.





წერის უნარის გაუმჯობესება

წერა არის სიმბოლოებისა და გრაფიკული გამოსახულებების მეშვეობით ენის გამოყენების პროცესი. წერა დაკავშირებულია ისეთ უნარებთან, როგორებიცაა: კალმის ხელში სწორად დაჭერა, ხაზებისა და ფიგურების კოპირება, ასოების ფორმის გამოსახვა, ასოთა რეგისტრების დაცვა, შინაარსის მქონე სიტყვებისა და წინადადებების ჩაწერა. წერის უნარის განვითარების ხელშეწყობისათვის შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიებისა და აქტივობების განხორციელება.

წერის უნარის გაუმჯობესებისათვის მნიშვნელოვანია, რომ:

- ❄ ყოველდღიურად 10-15 წუთი დაეთმოს წერისათვის ვარჯიშს;
- ❄ ბავშვს ჯერ მიეწოდოს მარტივი, შემდეგ კი რთული დავალებები;
- ❄ აქცენტი გაკეთდეს არა შეცდომებზე, არამედ იმაზე, თუ რა გამოსდის კარგად. მაგალითად, გამოწერილ ხაზში მოვნიშნოთ ის ასოები, რომლებიც ლამაზად დაწერა;

- ❄ შინაარსი სასურველია შეესაბამებოდეს ბავშვის ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენებს, მაგალითად, ვთხოვოთ დაწეროს „რა მოხდა სკოლაში“ ან „როგორ ჩაიარა დღემ“;
- ❄ ვასწავლოთ ისეთ კითხვით სიტყვებზე პასუხის გაცემა, როგორებიცაა: „ვინ?“, „სად?“, „როდის?“, „რატომ?“;
- ❄ ვასწავლოთ მშობლიური ენისათვის შესაბამისი წინადადების წყობა. ამისათვის შესაძლებელია მივაწოდოთ წინადადების ორი ვარიანტი და მან უნდა შეარჩიოს რომელია სიტყვების სწორი თანმიმდევრობით დაწერილი წინადადება. მაგალითად: „ბურთით თამაშობს ბიჭი“ თუ „ბიჭი ბურთით თამაშობს“;
- ❄ თუ წერის დროს უშვებს შეცდომებს, უმჯობესია, მივანიშნოთ იმ სიტყვაზე, სადაც შეცდომაა და თავად შეასწოროს;
- ❄ შესაძლებელია, საჭიროების შემთხვევაში, ბავშვს ვასწავლოთ წერის ალტერნატიული გზები, მაგალითად, ბეჭდვა;

ქვემოთ მოცემულია წერის უნარის დამხმარე რამდენიმე აქტივობის ნიმუში.

კალმის ხელში სწორი პოზიციით დაჭერა წერისათვის აუცილებელი პირობას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია, რომ ბავშვს შეეძლოს საწერი საშუალების მოქნილი გამოყენება და კონტროლი. მათთვის, ვისაც აქვს სირ-

თულები სამი თითით დაიჭირონ ფანქარი ან კალამი, შესაძლებელია ისეთი დამხმარე ნივთების ან სტრატეგიების გამოყენება, რომლებიც სურათზეა მოცემული.



ასოების გამოსახულების ჩაწერისათვის მნიშვნელოვანია განსხვავებული და მრავალფეროვანი სტრატეგიების გამოყენება. მაგალითად, ქვემოთ მოცემული სავარჯიშო ეხმარება ბავშვს სხვადასხვა მოქმედებით ჩაწეროს შესასწავლი ასო-ბგერა. ასევე, მნიშვნელოვანია ის, რომ განსახორციელებელი მოქმედებები დალაგებულია მარტივიდან რთულისაკენ. ბავშვს რვეულზე ან მარკერის დაფაზე ვუხატავთ ცხრილს, მას კი ევალება კონკრეტული ასოზე:

-  კალმით ხაზების შემოვლება
-  გადახატვა
-  მეხსიერებაზე დაყრდნობით ჩაწერა
-  თვალდახუჭული ჩაწერა

ა	
შემოავლე	გადახატე
ნახევარზე დაათარე ფურცელი და ისე ჩაწერე	დახუჭე თვალები და ჩაწერე


წერტილოვანი ასოების შეერთება ეხმარება ბავშვს დაიმახსოვროს როგორ ჩაწეროს ესა თუ ის ასო. მშობელი რვეულში უწერს წერტილებით გამოსახულ ასოს, ბავშვი კი ავლებს კალამს. თავდაპირველად წერტილებს შორის დისტანცია არის მინიმალური, შემდეგ კი თანდათანობით იზრდება. საბოლოოდ შესაძლებელია ბავშვს მიეწოდოს გრაფემის მხოლოდ დასაწყისი წერტილი.

დიდი ზომის უჯრების მიწოდება მნიშვნელოვანია განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ბავშვს უჭირს მიწოდებულ უჯრაში სიმბოლოების ჩასმა. თავდაპირველად მუშაობა ხდება გადიდებული ზომის უჯრებში, ხოლო შემდეგ თანდათანობით მცირდება.


გამოძერწვა შესასწავლი გრაფემის, წარმოადგენს სტრატეგიას, რომლის დროსაც ჩართულია როგორც მხედველობა, ასევე შეხება და შესაბამისად, ბავშვს უადვილდება ფორმის დამახსოვრება. თავდაპირველად, შესაძლებელია, ბავშვი ხედავდეს იმ ასო-ბგერას, რომელიც უნდა გამოძერწოს, შემდეგ ეტაპზე კი მხოლოდ მეხსიერების ხარჯზე დაევალოს ამოცანის შესრულება.

ქაფის გამოყენება წერის უნარის განვითარებაში შემდეგნაირად არის შესაძლებელი. ბავშვს ვაწოდებთ რაიმე ბრტყელ ჭურჭელზე მოთავსებულ ქაფს, სადაც მას შეუძლია თითებით მოხაზოს ესა თუ ასო.

რა ასო აკლია სიტყვაში - ბავშვს ვაწვდით სიტყვას, რომელშიც რამდენიმე ასო გამოტოვებულია. თავდაპირველად, შესაძლებელია რამდენიმე ვარიანტის მიწოდება. მაგალითად: რომელი ასო-ბგერაა გამოტოვებული სიტყვაში „ბუ-თი“? „რ“ თუ „ნ“?



სიტყვების შორის დისტანციის დასაცავად შესაძლებელია, ბავშვს ვასწავლოთ თითის დადება სიტყვის შემდეგ. ასევე, ეფექტურია, გადამხდილი სიტყვების მიწოდება, სადაც მან უნდა დასვას ხაზი იქ, სადაც სიტყვა მთავრდება.



ფონოლოგიური უნარ-ჩვევები კითხვის საფუძველია. ის გულისხმობს სიტყვის ბგერებად და მარცვლებად დაშლას (ანალიზი) და ბგერებისა და მარცვლების სიტყვებად გაერთიანებას (სინთეზი). აღსანიშნავია, რომ ფონოლოგიური უნარები დაკავშირებულია სმენითი, სამეტყველო ბგერებით მანიპულაციასთან, შესაბამისად, ამ უნარების გავარჯიშებისთვის არ არის აუცილებელი ბავშვი ცნობდეს ანბანის ასოებს. ფონოლოგიური უნარების განვითარებაზე ვარჯიშს უნდა ჰქონდეს სისტემატური ხასიათი, სასურველია დღეში 5-10 წუთის დათმობა და შესასრულებელი ამოცანები უნდა იყოს მიწოდებული მარტივიდან რთულისაკენ. სასურველია ფონოლოგიური

უნარების განვითარებაზე მუშაობა ატარებდეს არა მეცადინეობის, არამედ თამაშის ხასიათს. მაგალითად, პარკში სეირნობის ან სკოლის გზაზე ყოფნისას. ქვემოთ მოცემულია ის სტრატეგიები და აქტივობები, რომელთა გამოყენებითაც შესაძლებელია დავეხმაროთ ბავშვს ფონოლოგიური უნარების განვითარებაში.

პირველი ბგერის ამოცნობა - ბავშვს ვაჩვენებთ სურათს, რომელზეც რაიმე საგანია გამოსახული, ვთხოვთ, რომ დაასახელოს სიტყვა და თქვას რა ბგერაზე იწყება. შემდგომში, იმავე ტიპის დავალებას ასრულებს ვიზუალური მიმანიშნებლის გარეშე. მაგალითად: „მე ვამბობ სიტყვა „ჩიტი“, რა ბგერა გესმის პირველად“? თუ ბავშვი ვერ გასაუხობთ, გაუმეორეთ სიტყვა უფრო მკაფიოდ და ნელა. მახვილი გააკეთეთ პირველ ბგერაზე.

ჩამოთვალე სიტყვები - ბავშვს ვუსახელებთ რომელიმე ბგერას და მან უნდა მოიფიქროს რაც შეიძლება მეტი სიტყვა, რომელიც ამ ბგერაზე იწყება. შესაძლებელია წყვილებში თამაში. მაგალითად: „მოდით, რიგ-რიგობით მოვიფიქროთ სიტყვები, რომელიც იწყება „ბ“-ზე“.

დამარცვლა - სწავლების პირველ ეტაპზე ბავშვს მშობელი უმარცვლის სიტყვას, ხოლო მან უნდა დაუკრას იმდენი ტაში, რამდენი მარცვალიცაა. მაგალითად: „ბუშ-ტი“ (2 ტაში). შემდეგ ეტაპზე კი თავად ბავშვს ვთხოვთ დამარ-

ცვლოს დასახელებული სიტყვა. ამავე აქტივობის განხორციელება შესაძლებელია პირიქით, ვეუბნებით ცალკეულ მარცვლებს და ბავშვმა უნდა თქვას რა სიტყვა გამოვიდა. მაგალითად, „ვე-ლო-სი-პე-დი“. თუ ბავშვს უჭირს გამთლიანება შეარჩიეთ მარტივი სიტყვა და მარცვლებს შორის გააკეთეთ მინიმალური პაუზა ხოლო შემდეგ თანდათანობით გაზარდეთ პაუზის ხანგრძლივობა (2 წმ).

ბგერებად დაშლა - ბავშვს ეუბნებით სიტყვას, მან კი უნდა წარმოთქვას ბგერები ცალ-ცალკე. ასევე, პირიქით, მშობელი ასახელებს ბგერებს და ბავშვს მოეთხოვება დაასახელოს რა სიტყვა გამოვიდა. გარდა ამისა, შესაძლებელია ასეთი აქტივობის განხორციელება-მშობელი ასახელებს სიტყვას და შემდეგ ბავშვს სთხოვს, რომ რომელიმე ბგერა შეცვალოს სხვა ბგერით. მაგალითად, სიტყვაში „ქარი“ „ქ“ შეცვალებს „ნ“-თი, რა სიტყვა გამოვიდა?“

მსგავსად მყდერი ბგერების გარჩევა - ბავშვს ვაწვდით ბარათებს, სადაც ხატია ისეთი საგნები, რომლის აღმნიშვნელი სიტყვებიც ერთმანეთს გავს ჟღერადობით. მშობელი ასახელებს სიტყვას, ხოლო ბავშვი პოულობს შესაბამის სურათს. მაგალითად, ვაჩვენებთ, ქალისა და ქარის სურათებს და ვამბობთ სიტყვას „ქარი“. შემდგომ ეტაპზე იმავე აქტივობის განხორციელება სასურველია ვიზუალური მიმანიშნებლის გარეშე. ბავშვს მშობელი

უსახელებს ორ, ჟღერადობით ერთმანეთის მსგავს სიტყვას, ხოლო მან უნდა თქვას, ერთნაირია თუ არა.



როდესაც ბავშვი ანბანის შესწავლას დაიწყებს, ფონოლოგიური უნარ-ჩვევების გამომუშავებისათვის შესაძლებელია შემდეგი სახის სავარჯიშოების გამოყენება.

ქარი ☆	ქალი	
ბარი ☆	ბარი	
კარი ☆	დარი	
ომი ☆	ლომი	
კანი ☆	კანი	
ღუბა ☆	მუბა	
სამი ☆	სარი	
სურათი ☆	სურათი	
ბარალი ☆	ფანარი	
საბურავი ☆	სახურავი	
ჭარისკაცი ☆	კარისკაცი	

შემოხაზე საწყისი ბგერა - ბავშვი გამოსახულ ნახატთან აკავშირებს სიტყვას და გამოყოფს პირველ ბგერას. ხმამაღლა გამოთქმის შემთხვევაში, ის აკავშირებს ერთმანეთთან გრაფემასა და ფონემას.



დაითვალე რამდენი მარცვალია - ბავშვს ვაწვდით წერილობით მოცემულ სიტყვებს, მან უნდა დაითვალოს მარცვლების რაოდენობა და ჩაწეროს შესაბამის სვეტში.

კალათი	ყურადღება	ხაჭაპური	დღესასწაული	ნამცხვარი
კალათბურთი	კომპიუტერი	დომინო	კარტოფილი	დოღი
მოხილური	ნაღები	განათლება	გამოძიება	უმრავლესობა
(4)	(5)	(6)		
.....				
.....				
.....				



მათემატიკური უნარების განვითარება

მათემატიკური უნარების განვითარება მოიცავს რაოდენობის ცნებას, თვლას, ციფრებს, ანგარიშსა და შემდგომში რთული ალგებრული ამოცანების გადაჭრის უნარს. მნიშვნელოვანია, გვახსოვდეს, რომ ციფრები და არითმეტიკული მოქმედებები დასწავლის უნარის მქონე ბავშვისათვის აბსტრაქტულია და სწორედ ამიტომ არის მნიშვნელოვანი სწავლების საწყის ეტაპზე ვიზუალური ინფორმაციის გამოყენება და მრავალფეროვანი აქტივობების შეთავაზება. ქვემოთ მოცემულია სტრატეგიები, რომელთა გამოყენებითაც მშობელს შეუძლია დაეხმაროს ბავშვს მათემატიკური უნარების განვითარებაში.

☀ დაუკავშირეთ მათემატიკური ამოცანები ბავშვისათვის ნაცნობ რეალურ კონტექსტს, მაგალითად, რაოდენობის სწავლის პროცესში დათვალეთ მისი სათამაშოები, ნივთები ან კანფეტები.

☀ ბავშვს ახალი მიზანი დაუსახეთ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მის წინარე მასალას თუ ინფორმაციას სრულყოფილად აითვისებს.


☀ დაუნაწევრეთ შესასრულებელი დავალება ან აქტივობა, მიაწოდეთ მოკლე და კონკრეტული ინსტრუქციები.

☀ გამოიყენეთ ვიზუალური მასალა სწავლების პროცესში. მაგალითად, რაოდენობისა და ციფრის შესაბამისობისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ რამდენიმე განსხვავებული აქტივობა.

1. დაუწერეთ ბავშვს ციფრი, გამოიყენეთ თითის საღებავები და სთხოვეთ ბავშვს, რომ თითოეულ ციფრთან დატოვოს შესაბამისი რაოდენობის თითის ანაბეჭდი.
2. მიაწოდეთ ბავშვს პატარა ზომის ყუთები, რომლებზეც გამოსახულია კონკრეტული ციფრები. სთხოვეთ ბავშვს, რომ თითოეულში ჩაყაროს შესაბამისი რაოდენობის კანფეტი.

☀ ანგარიშის სწავლების დროს გამოიყენეთ ისეთი რესურსები, როგორებიცაა ჩხირები, საანგარიშო, ვიზუალური მიმანიშნებლები.

☀ მეტობა-ნაკლებობის სიმბოლოების სწავლისათვის შესაძლებელია გამოვიყენოთ ისეთი ვიზუალური ხრიკი, როგორიცაა „ნიანგის პირი“, ბავშვს ვუხსნით, რომ ნიანგს უნდა შეჭამოს უფრო ბევრი.



5.2. შემეცნებითი უნარების განვითარების ხელ- შემწყობი სტრატეგიები და აქტივობები

დასწავლის უნარის დარღვევას თან ახლავს შემეცნებითი სფეროს სირთულეები. მასწავლებლები და მშობლები ხშირად აღნიშნავენ, რომ ბავშვს უჭირს ახალი ინფორმაციის სწრაფად ათვისება, რაც გამოწვეულია ხანმოკლე მეხსიერების დეფიციტით. ქვემოთ განვიხილავთ სტრატეგიებს, რომელთა გამოყენებითაც მშობელს შეუძლია, დაეხმაროს ბავშვს ხანმოკლე სმენითი, მხედველობითი და მუშა მეხსიერების განვითარებაში.

სმენითი მეხსიერების სირთულე ვლინდება იმით, რომ ბავშვს უჭირს ვერბალურად მიწოდებული ინფორმაციის გამეორება, მაგალითად, ვერ იმახსოვრებს ბგერებისა და მარცვლების თანმიმდევრობას სიტყვაში. მნიშვნელოვანია, რომ მშობელი დაეხმაროს მას მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრებაში.


- ✓ ავარჯიშეთ ბავშვი მოკლე ინსტრუქციების შესრულებაში, გაუმეორეთ იმდენჯერ, სანამ არ შეასრულებს. შეეცადეთ თავი აარიდოთ ფიზიკურ მინიშნებას.
- ✓ მანამ, სანამ რაიმე კონკრეტულ ინსტრუქციას მისცემთ, მიიპყარით მისი ყურადღება, მიმართეთ სახელით და დაამყარეთ თვალთ კონტაქტი.
- ✓ ინსტრუქციები მიაწოდეთ ნაწილ-ნაწილ, ასევე, საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენეთ წერილობითი მიმანიშნებლები.
- ✓ ყურადღების მობილიზებისათვის გამოიყენეთ მოკლე ვერბალური („მომისმინე“, „ყურადღება“) და არა-ვერბალური (თვალთ კონტაქტი, მხარზე შეხება) მიმანიშნებლები.
- ✓ როდესაც რაიმე დავალებას მიაწვდით და მისცემთ ინსტრუქციას, სთხოვეთ მისი გამეორება, სანამ დაიწყებს. ამ გზით ბავშვს აქვს შესაძლებლობა ინსტრუქცია მოისმინოს 2-ჯერ.
- ✓ როდესაც ბავშვმა უნდა დაიმახსოვროს რაიმე, შეეცადეთ სმენის გარდა ჩართოთ შეგრძნების სხვა ორგანოები. მაგალითად, თუ ის ახალ სიტყვას სწავლობს, დაუხატეთ ფურცელზე, სთხოვეთ სიტყვა ჰაერში მოხაზოს ან თვალდახუჭულმა წარმოიდგინოს ეს სიტყვა.

- ✓ სცადეთ ინფორმაციის ვერბალურად მიწოდების დროს ბავშვმა თვალეხი დახუჭოს. შესაძლოა, ამ გზით უფრო იოლად დაიმახსოვროს მოსმენილი ინფორმაცია.
- ✓ ავარჯიშეთ ინფორმაციის დანაწევრებაში. მაგალითად, თუ ბავშვმა უნდა დაიმახსოვროს ტელეფონის ნომერი, ასწავლეთ ციფრების დაწყვილებით დამახსოვრება.

მხედველობითი მეხსიერების სირთულეები სწავლის პროცესში მაშინ იჩენს თავს, როდესაც ბავშვს უჭირს წერილობით მიწოდებული ინფორმაციის დამახსოვრება. მაგალითად: სწორად წარმოთქვამს სიტყვას, მაგრამ კარნახით ჩაწერის დროს უშვებს შეცდომებს. ვიზუალური მეხსიერების გაუმჯობესებისათვის შესაძლებელია შემდეგი სტრატეგიების გამოყენება

- ✓ ითამაშეთ ბავშვთან ერთად ისეთი სამაგიდო თამაშები, რომელშიც ჩართულია მხედველობითი მეხსიერება. მაგალითად, სიტყვების სწავლებისას დაამზადეთ სიტყვების დომინო, სადაც ერთ ბარათზე მოცემულია სიტყვის დასაწყისი, ხოლო მეორეზე დასასრული.
- ✓ გამოიყენეთ სურათები ან ასოები. დაულაგეთ ბავშვს მაგიდაზე და მიეცით საშუალება, რომ გარკვეული დროის განმავლობაში დააკვირდეს და დაიმახსოვროს. შემდეგ სთხოვეთ თვალეხის დახუჭვა და თქვენ მიწოდებულ მასალაში განახორციელეთ გარკვეული გადანაცვლებები. ბავშვმა უნდა გამოიცნოს რა შეცვალეთ.

- ✓ მიაწოდეთ ბავშვს სიუჟეტური სურათები, რომელზეც გარკვეული ისტორია არის გადმოცემული. სთხოვეთ მას დააღაგოს თანმიმდევრობით სურათები და მოყვეს ისტორია.
- ✓ მიაწოდეთ სავარჯიშოები, სადაც ორი ერთმანეთის მსგავსი სურათია მოცემული რამდენიმე დეტალის განსხვავებით. ბავშვმა უნდა იპოვოს განსხვავებები.
- ✓ დაუმზადეთ სურათებით წყვილები და მიაწოდეთ ისე, რომ ვერ ხედავდეს. ბავშვმა უნდა ამოატრიალოს ბარათები და იპოვოს ყველა წყვილი.
- ✓ აჩვენეთ ვიზუალურად მოცემული რამდენიმე საგნის გამოსახულება, შემდეგ კი დამალეთ და ბავშვმა უნდა ჩამოთვალოს რა ეხატა.



მუშა მეხსიერება გულისხმობს იმ ინფორმაციის გადა-
მუშავებასა და მანიპულაციას, რომელიც ბავშვს უკვე აქვს
ხანმოკლე მეხსიერებაში. მაგალითად: ტელეფონის ნომრის
დამახსოვრება არის ხანმოკლე მეხსიერება, მაგრამ თუ
ჩვენ ბავშვს ვთხოვთ, რომ ტელეფონის ნომრის ციფრები
დაალაგოს თანმიმდევრობით, მას მოუწევს მუშა მეხსი-
ერების ჩართვა. მშობელს შეუძლია მუშა მეხსიერების
გავარჯიშებისათვის შემდეგი სტრატეგიების გამოყენება:

- ☒ შეიმუშავეთ მეცადინეობის პროცესის სტრუქტურა,
მკაფიოდ აუხსენით და აჩვენეთ რით უნდა დაიწყოს
და დაასრულოს.
- ☒ აჩვენეთ ის, რაზეც ესაუბრებით. ახალი კონცეფციების
ახსნის დროს გამოიყენეთ ილუსტრაციები, დიაგრამები
და ცხრილები.
- ☒ შეამცირეთ დასამახსოვრებელი ინფორმაციის მოცუ-
ლობა. თუ ბავშვს უწევს ტექსტის დამახსოვრება,
გაუმარტივეთ წინადადებები.
- ☒ ბავშვთან ერთად შეიმუშავეთ დღის განრიგი.
- ☒ თუ ბავშვს სკოლაში ტესტი აქვს, იმუშავეთ მასზე 1-2
დღით ადრე.
- ☒ ასწავლეთ ბავშვს ითხოვოს დახმარება, დააზუსტოს
რა უნდა გააკეთოს, მაშინ, როდესაც არ არის დარ-
წმუნებული, რომ სწორად გაიგო მიწოდებული
ინსტრუქცია.
- ☒ შეეცადეთ გარემოში შეამციროთ ყველაფერი ის, რა-
მაც შეიძლება ბავშვს ხელი შეუშალოს ყურადღების

მობილიზებაში. მაგალითად, გამორთეთ ტელევი-
ზორი, შეეცადეთ სამუშაო მაგიდაზე არ იყოს ბევრი
ნივთი.

- ☒ მიაწოდეთ კონკრეტული სახის ინფორმაცია, მაგა-
ლითად, იმის ნაცვლად, რომ უთხრათ „ცოტა უნდა
იმეცადინო“, უთხარით „მათემატიკაში 2 და ქარ-
თულში 1 გვერდი გაქვს დასაწერი“.

მუშა მეხსიერების განვითარების ხელშეწყობისათვის შე-
საძლებელია შემდეგი აქტივობების გამოყენება:

ციფრების დამახსოვრება უკუმიმართულებით - დაუსახე-
ლეთ ბავშვს ციფრები არეული თანმიმდევრობით, მან კი
უნდა ჩამოთვალოს უკუმიმართულებით. მაგალითად,
მშობელი ამბობს: „4-8-3“, ბავშვი იმახსოვრებს და ჩამოთ-
ვლის პირიქით „3-8-4“. თანდათან შესაძლებელია გაიზარ-
დოს ციფრების რაოდენობა.

ციფრებისა და ასოების თანმიმდევრობის დამახსოვრება-
აღნიშნულ აქტივობაში ბავშვს ვეუბნებით ციფრებსა და
ასოებს შერეულად, მას კი ევალება გაიმეოროს მოსმენილი
თანმიმდევრობით. მაგალითად: „4-გ-ფ-1“.

უშინაარსო სიტყვები - ბავშვს ვეუბნებით რაიმე ჩვენ
მიერ მოფიქრებულ უშინაარსო სიტყვას და ვთხოვთ, რომ
გაიმეოროს. მაგალითად: ბუნდოლა, სობოდუნა, გორგომე-
ლნი, მიკოტონივე და ა.შ.

5.3. სოციალურ-ემოციური სფეროს განვითარების ხელშეწყობა

დასწავლის უნარის დარღვევის შემთხვევაში ხშირია ემოციურ სფეროსთან დაკავშირებული ისეთი სირთულეები, როგორებიცაა დაბალი თვითშეფასება, შფოთვა და მოტივაციის ნაკლებობა. მშობელს ძალიან დიდი როლი აქვს ბავშვის ემოციური კეთილდღეობის ხელშეწყობაში. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე სტრატეგია, რომლის გამოყენებითაც მას შეუძლია დაეხმაროს ბავშვს დადებითი ემოციების განვითარებაში.

❄ აგრძნობინეთ ბავშვს, რომ ის თქვენთვის მისაღები და მნიშვნელოვანია. მისთვის აუცილებელია იმის ცოდნა, რომ მის ცხოვრებაში არსებობენ ისეთი ადამიანები, რომლებიც მას მხარს უჭერენ და ეხმარებიან გამოწვევების გადალახვაში. სასურველია მშობელს ჰქონდეს ბავშვთან ყოველდღიური ერთი-ერთზე ურთიერთობა.

❄ დაეხმარეთ გადაწყვეტილების მიღების უნარის გაუმჯობესებაში. თვითშეფასების ამაღლება დიდწილად არის დაკავშირებული იმასთან, თუ რამდენად შეუძლია ბავშვს გადაწყვეტილებების დამოუკიდებლად მიღება, რადგანაც ამ გზით ის იძენს თავდაჯერებულობის განცდას. ზოგჯერ მშობელი პირდაპირ

უთითებს ბავშვს იმაზე, თუ როგორ მოიქცეს და ამ გზით ცდილობს მის დახმარებას, მაგრამ უმჯობესია, დაეხმაროს მას და ასწავლოს გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღება.

❄ მოერიდეთ ბავშვის კრიტიკულ და განსჯით შეფასებებს, რადგან ეს მას უკარგავს მოტივაციას და ვერ ეხმარება სწავლის პროცესში. უმჯობესია, მშობელმა პოზიტიური ფორმულირებით მიაწოდოს ბავშვს სათქმელი. მაგალითად, ნაცვლად „ნუ წერ დიდი ასოებით“, შესაძლებელია ვუთხრათ- „შეეცადე ასოები უჯრაში ჩასვა“.

❄ იყავით ემპათიური, თუ მშობელი ერთხელ მაინც დააყენებს საკუთარ თავს ბავშვის ადგილას, ის კარგად გააცნობიერებს ბავშვის წინაშე არსებულ სირთულეებს და შესაბამისად, მის მიმართ უფრო გულისხმიერი იქნება.

❄ მიეცით ბავშვს არჩევანის გაკეთების შესაძლებლობა, რადგან ასე მას უჩნდება კომპეტენტურობის განცდა, რაც საბოლოო ჯამში ხელს უწყობს თვითშეფასების ამაღლებას.

❄ მოერიდეთ ბავშვის შედარებას თანატოლებთან, დებთან ან ძმებთან, უმჯობესია აქცენტი გააკეთოთ ბავშვის მიღწევებსა და ძლიერ უნარებზე.

❄ გქონდეთ რეალისტური მოლოდინები და მიზნები

ბავშვის მიმართ. მოთხოვნები, რომელიც არ შეესაბამება ბავშვის შესაძლებლობებს, უარყოფითად აისახება როგორც მშობლის, ასევე ბავშვის მოტივაციაზე.

❄ შეეცადეთ აუხსნათ ბავშვს მისი მდგომარეობის არსი. ხშირად, დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვს აქვს საკუთარი თავის და არსებული სირთულეების არასწორი, ნეგატიური აღქმა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, რომ მშობელმა მიაწოდოს საჭირო ინფორმაცია ბავშვს დასწავლის უნარის დარღვევის შესახებ.

5.4. ქცევის სირთულეების მართვის სტრატეგიები

ხშირია შემთხვევები, როდესაც დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვებისთვის დამახასიათებელია ქცევითი სირთულეები. მშობლებს ხშირად უჭირთ აღნიშნულ პრობლემასთან გამკლავება. მოცემულ თავში ვისაუბრებთ იმ ტექნიკებსა და სტრატეგიებზე, რომლებსაც მშობლებმა სასურველია მიმართონ მსგავსი სიტუაციების პრევენციისა და გამკლავებისთვის.

მშობლები, რომლებიც მზრუნველ და უსაფრთხო ურთიერთობებს ამყარებენ ბავშვებთან, ეხმარებიან მათ თავი იგრძნონ დაცულად და თავდაჯერებულად. სტაბილური გარემოს შექმნითა და კომპეტენტური უფროსის ზრუნვით ბავშვები მნიშვნელოვან და საჭირო სარგებელს იღებენ.

იმისათვის, რომ ხელი შევუწყოთ პოზიტიური ქცევის გამოვლენას, გასათვალისწინებელია შემდეგი სამი ასპექტი:

1. პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო;
2. ახალი უნარების განვითარებისა და პოზიტიური ქცევის გამყარების სტრატეგიები;
3. არასასურველი ქცევის შემცირების ტექნიკები.

პოზიტიური და მხარდამჭერი გარემო

❄ დაამყარეთ შეილთან პოზიტიური და ნდობაზე დაფუძნებული ურთიერთობა - თქვენი ქცევის მართვის ტექნიკების ეფექტურობა გაიზრდება იმ შემთხვევაში თუ ბავშვს ექნება განცდა, რომ მასზე ზრუნავენ და მისი საჭიროებები აუცილებლად იქნება დაკმაყოფილებული;

❄ მასთან ერთად დროის გატარება - მნიშვნელოვანია, რომ დღის მანძილზე გარკვეული დრო ისიამოვნოთ მასთან ერთად ყოფნით. გაერთოთ და აკეთოთ ის, რაც მას დააინტერესებს. ეს აუცილებელია ბავშვთან პოზიტიური ურთიერთობის დამყარებისა და შენარჩუნებისთვის. თამაშისა და გართობისთვის დროის გამონახვა ყველასთვის სასარგებლოა თუნდაც დავების კუთხით. ეს, ასევე, ხელს უწყობს მზრუნველობითი და ურთიერთ თანამშრომლობითი გარემოს შექმნას. ახლო ურთიერთობის შენარჩუნებისთვის

მნიშვნელოვანია, რომ ხშირად ესაუბროთ მას. მასთან საუბართა და მისი მოსმენით ბავშვს უჩნდება განცდა, რომ მისი ესმით, რაც ხელს უწყობს დადებითი თვითშეფასების ფორმირებას.

 პოზიტიური ყურადღება. აღსანიშნავია, რომ მშობლის მხრიდან ბავშვის პოზიტიურ საქციელზე აქცენტის გაკეთება ხელს უწყობს სამომავლოდ მსგავსი ქცევის განხორციელებას და ამ გზით მშობლის კიდევ მრავალჯერ ყურადღების მიპყრობას. ეს შესაბამისად ამცირებს რთული ქცევის გამოვლენის ალბათობას. პოზიტიური ყურადღების გამოვლენის მაგალითია მარტივი აღნიშვნები, მაგალითად, „მადლობა, რომ სათამაშოები დააღაგე“, „ძალიან მომეწონა შენი შესრულებული საშინაო დავალება“ და ა.შ.

ახალი უნარების განვითარებისა და სასურველი ქცევის გამყარების სტრატეგიები

 შექება და წახალისება - პოზიტიური ქცევის ჩამოყალიბების პროცესის მნიშვნელოვანი მონაწილეა მშობელი. მას ერთგვარი გზამკვლევის ფუნქცია აკისრია. სწორედ მათი დახმარებით იგებენ და ხვდებიან ბავშვები თუ როგორი ქცევა არის კონკრეტული სიტუაციის შესაბამისი. ემოციებთან გამკლავება, გარემოს ორგანიზება, სხვებთან თანამშრომლობა - ეს იმ უნარებისა და ქცევათა მცირე ჩამონათვალია, რომლებსაც ბავშვები ნელ-ნელა სხვების დახმარებითა და მხარდაჭერით სწავლობენ და ივითარებენ. ბავშვის პოზიტიური ქცევის შემჩნევით, შექებითა და წახალისებით, მშობელი ხელს უწყობს სამომავლოდ სასურველი ქცევების გამოვლენის სიხშირის ზრდას. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მაშინ, როდესაც ბავშვი სწავლობს ახალ სიტუაციებთან და მოწვევებთან გამკლავებას. როდესაც ბავშვს ვაქებთ პოზიტიური ქცევის გამო, აუცილებელია, რომ ეს იყოს ძალიან კონკრეტული. უთხარით მას ზუსტად რა მოგეწონათ მის საქციელში, მაგალითად, „დიდი მადლობა დახმარებისთვის. შენ ჩემი შეხსენების გარეშე გაგახსენდა, რომ მერხი მოგეწესრიგებინა“ ან „მე ძალიან ბედნიერი ვიყავი, რომ შენ ასეთი მოთმინება

გამოიჩინე. შენ ჩუმად იჯექი და მელოდებოდი, სანამ მე საუბარს დავასრულებდი“. კონკრეტული და მამოტივირებელი უკუკავშირის მოსმენისას ბავშვები ხვდებიან თუ რა მოლოდინები გაქვთ სამომავლოდ მისგან და შეეცდებიან მათ გამართლებას. ამასთანავე, შექებისას აუცილებელია, რომ აქცენტი გააკეთოთ ბავშვის ქცევის შედეგზე და მას არ ჰქონდეს თავად ბავშვის შეფასების სახე, რათა არ შევეხოთ მის თვითშეფასებას. მაგალითად, „რა კარგად გააკეთე“ და არა „რა კარგი ბიჭი ხარ“.

 შექებასთან ერთად ძალიან ეფექტურია წახალისება რაიმე მისთვის სასურველი აქტივობითა თუ ნივთით, განსაკუთრებით მაშინ, თუ ბავშვი ეჩვევა ახალ რუტინასა და პასუხისმგებლობებს. ჯილდოს ძალიან ბევრი რამ შეიძლება წარმოადგენდეს, თუმცა მნიშვნელოვანია, რომ ის ბავშვისთვის იყოს ღირებული. ეს შეიძლება იყოს: ჩახუტება, შექება, ძილის წინ წიგნის წაკითხვა, ფილმის ყურება, სასეირნოდ სადმე წასვლა და ა.შ. აუცილებელია, რომ ჯილდო სასურველი ქცევის გამოვლენის შემდგომ მიიღოს. მას შემდეგ, რაც პოზიტიური ქცევა ჩვევაში გადაიზრდება და გამყარდება, შესაძლებელია, რომ მშობელმა შეწყვიტოს ამ ტექნიკის (ჯილდოს) გამოყენება.

 დღის რეჟიმი - ბავშვის პოზიტიური ქცევის განვითარების მნიშვნელოვანი ასპექტია სტრუქტურირებული გარემო - როდესაც გარკვეული აქტივობები ყოველდღიურად ერთი და იმავე დროს ხდება. ძილის, კვების, ბანაობის, მეცადინეობისა და სხვადასხვა აქტივობების ყოველდღიური რუტინა ბავშვისთვის გარემოს პროგნოზირებადს ხდის. მსგავსი რეჟიმი ხელს უწყობს ბავშვში უსაფრთხოებისა და დაცულობის განცდის ფორმირებას. ეს კი ზრდის პოზიტიური ქცევის გამოვლენის ალბათობას.

 მოლოდინების განსაზღვრა და შეზღუდვების დაწესება - შეზღუდვების დაწესება ნიშნავს საკუთარი მოლოდინების ბავშვისთვის გაცნობას და შემდგომში მის თანმიმდევრულად დაცვას. ლიმიტების განსაზღვრისას აუცილებელია, რომ შეთანხმებები იყოს კონკრეტული, გასაგები, პოზიტიურად ფორმულირებული, რათა ბავშვმა ზუსტად იცოდეს თუ რას ელით მისგან. სასურველია, რომ მათი შემუშავება მოხდეს ბავშვთან ერთად და მასთან შეთანხმებით. მნიშვნელოვანია, რომ შეზღუდვები არის იყოს ძალიან ბევრი და იყოს რეალისტური ანუ შეესაბამებოდეს მის შესაძლებლობებს. შეთანხმებების დაცვისას უნდა იყოს თანმიმდევრულები (თუმცა არა ხისტები). თუ მათი დაცვა ხდება არა თანმიმდევრულად

(მაგალითად, ერთ დღეს სათამაშოების არეულად დატოვებისას არაფერს ეუბნებით, ხოლო მეორე დღეს შენიშვნას აძლევთ და აიძულებთ, რომ აალაგოს) ამით მხოლოდ დააბნევთ ბავშვს და ის ველარ გაიგებს, როგორ მოიქცეს მომავალში.

 **მიეცით არჩევანი** - არჩევანის მიცემა ეხმარება ბავშვს განივითაროს გადაწყვეტილების მიღების უნარი. ასეთ დროს მათ უჩნდებათ განცდა, რომ არიან ამ პროცესის აქტიური მონაწილეები და შეუძლიათ საკუთარი საქციელის გაკონტროლება. არჩევანისა და გადაწყვეტილებების მიღების შესაძლებლობა მნიშვნელოვანია პასუხისმგებლობისა და პოზიტიური სოციალური ღირებულებების ფორმირების თვალსაზრისით. აუცილებელია, რომ არჩევანის გაკეთება შევთავაზოთ მათი ასაკისა და შესაძლებლობების შესაბამის საკითხებზე.

არასასურველი ქცევის შემცირების სტრატეგიები

ბავშვები არასასურველ ქცევას შესაძლოა რამდენიმე მიზეზის გამო ახორციელებდნენ: ყურადღების მიქცევა, რაიმეს თავიდან არიდება ან მისთვის სასურველი მიზნის მიღწევა. მათ, ასევე, შეიძლება არ იცოდნენ, როგორ უნდა მოიქცნენ სწორად კონკრეტულ სიტუაციაში ან არ იცოდნენ როგორ გაუმკლავდნენ იმედგაცრუებას თუ ბრახს. მშობლებმა შესაძლოა არამიზანმიმართულად

ხელი შეუწყონ მსგავსი ქცევების გამოვლენას მათზე ყურადღების გამახვილებით. მსგავსი ქცევების შემცირების ყველაზე ეფექტური გზა არის ვასწავლოთ მისაღები ქცევა, რომლითაც ჩაანაცვლებენ მას. გაამახვილოთ ყურადღება პოზიტიურზე და თავი აარიდეთ ქცევით სირთულეებზე აქცენტის გაკეთებას. შეინარჩუნეთ სიმშვიდე და აუხსენით არასასურველი ქცევის ლოგიკური უარყოფითი შედეგები.

 **სიმშვიდის დრო** - როდესაც არასასურველი ქცევა ხდება სერიოზული და პერმანენტული, შესაძლოა, საჭირო გახდეს ბავშვის სიტუაციისგან გამორიდება მისი დამშვიდების მიზნით. აუხსენით, რომ მისი ქცევა არის საფრთხის შემცველი და შეუსაბამო. ეს დაეხმარება დამშვიდებასა და ემოციებთან გამკლავებაში. „მშვიდი დროის“ ეფექტურად გამოყენებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სახლში არსებობდეს ამისთვის კონკრეტული სივრცე, სადაც ბავშვი მცირედი დროით განმარტოვდება და დაჯდება მშვიდად. აუცილებელია, რომ სიტუაციაზე კონტროლი აიღოთ საკუთარ თავზე. მშვიდად აღუწერეთ მისი საქციელი და შედეგები. მნიშვნელოვანია, რომ არ შეხვიდეთ მასთან კამათში. აუხსენით, რომ „მშვიდი დროის“ სივრციდან დაბრუნება შეუძლიათ დამშვიდების შემდეგ (პატარების შემთხვევაში 2, ხოლო უფრო მოზრდილებთან 5 წუთის გასვლის შემდეგ). როდესაც

დრო ამოიწურება, მათ შეუძლიათ დაუბრუნდნენ თავიანთ აქტივობას. მნიშვნელოვანია, რომ სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე შეაქოთ.

ბავშვის ქცევის მართვის 5 „გასაღები“:

- 1 **წინასწარ განსაზღვრა:** დასწავლის უნარის დარღვევის თავისებურებების ცოდნა და სავარაუდო სირთულეები პროგნოზირება;
- 2 **გაგება:** ბავშვის პერსპექტივიდან მის ქცევაზე ფიქრი;
- 3 **დაგეგმვა:** პროგნოზირებად სიტუაციებთან გამკლავებისთვის სტრატეგიების შემუშავება;
- 4 **თანმიმდევრულობა** რეაგირებისა და მხარდაჭერის თვალსაზრისით;
- 5 **განმტკიცება:** სასურველი ქცევის გამოვლენისთანავე შექება და ნახალისება;

5.5. თანამედროვე ტექნოლოგიები, როგორც დამხმარე რესურსი

დამხმარე ტექნოლოგიები მოიცავს იმ ციფრული თუ ელექტრონული მოწყობილობების ერთობლიობას, რომელიც ეხმარება ადამიანს საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენასა და გაუმჯობესებაში. დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვისათვის კომპიუტერის, გაჯეტებისა და სხვა მოწყობილობების გამოყენება ამარტივებს სწავლების პროცესს. ქვემოთ განხილულია ის მოწყობილობები და პროგრამები, რომლებიც გამოიყენება დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის დასახმარებლად.

ყობილობები და პროგრამები, რომლებიც გამოიყენება დასწავლის უნარის დარღვევის მქონე ბავშვის დასახმარებლად.

ხმის ჩამწერის გამოყენება შესაძლებელია ყოველდღიური საჭიროებების ორგანიზებისათვის. ბავშვს აქვს შესაძლებლობა ჩაწეროს საკუთარი ხმით მისთვის საჭირო ინსტრუქციები, რასაც მობილური მითითებულ დროს შეახსენებს. მაგალითად, თუ მას ავიწყდება გაკვეთილების შემდეგ საკუთარი სასწავლო ნივთების მოწესრიგება, აღნიშნული აპლიკაცია დაეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.

აიპადებისა და ტაბლეტების დამხმარე რესურსად გამოყენების რამდენიმე გზა არსებობს, მათი საშუალებით ბავშვს აქვს შესაძლებლობა გაადიდოს შრიფტის ზომა, გააფერადოს, დაყოს ნაწილებად, მონიშნოს და ა.შ.

კომპიუტერი განსაკუთრებით სასარგებლოა მაშინ, როდესაც წერასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი სირთულეები არსებობს. რვეულისა და კალმის ჩანაცვლება შესაძლებელია ბეჭდვის სწავლების გამოყენებით.

განსხვავებული ფონტები უმარტივებს ბავშვს კითხვის პროცესს, შესაძლებელია ტექსტში მოცემული აზრები სხვადასხვა ფონტით იყოს წარმოდგენილი, რაც ეხმარება

კითხვის სირთულეების მქონე ბავშვს ტექსტის სტრუქტურის გააზრებასა და შინაარსის გაგებაში.

სასწავლო აპლიკაციები. ინტერნეტში ხელმისაწვდომია მრავალფეროვანი აპლიკაციები ასოებისა და ციფრების სწავლებისათვის.

აუდიო წიგნები ეფექტური დამხმარე რესურსია კითხვის სირთულეების არსებობის დროს.

ის, თუ რა ტიპის დამხმარე ელექტრონული თუ ციფრული ტექნოლოგიის გამოყენება უნდა მოხდეს, დამოკიდებულია თავად ბავშვზე, მის საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე.

ტერმინთა განმარტება

აკომოდაცია არის სასწავლო გარემოსა და სტრატეგიების ცვლილება ისე, რომ ბავშვი უფრო მარტივად მოერგოს მას.

არავერბალური უნარები ისეთი უნარებია, რომელთა გამომჟღავნება სიტყვების გარეშე, ჟესტით, მიმიკით, მოქმედებითაა შესაძლებელი.

დისფუნქცია ნიშნავს რაიმე ფუნქციის (მაგალითად, ყნოსვის შეგრძნების) მოშლას, დარღვევას.

ემპათია არის თანაგანცდა ანუ სხვისი ემოციებისა შეგრძნებისა და გაგების უნარი.

ვერბალური უნარები არის ინფორმაციის სიტყვიერად გადაცემის გზები.

თვითცნობიერება ბავშვის განვითარებაში გულისხმობს საკუთარი თავის, მახასიათებლების, შესაძლებლობებისა და უნარების შესახებ მკაფიო შეხედულებისა და აზრის ქონას.

ინტერვენცია არის სხვადასხვა სტრატეგიებისა და პროგრამების ერთობლიობა, რომლის განხორციელების შედეგად ადამიანის მდგომარეობა უმჯობესდება.

მულტისენსორული მეთოდი გულისხმობს სწავლების პროცესში შეგრძნების ერთზე მეტი არხის გამოყენებას. მაგალითად, ფერის სწავლაში ერთდროულად მონაწილეობს მხედველობა (ბავში აკვირდება ფერებს), შეხება (ხელებით ეხება სხვადასხვა ფერის საგნებს) და სმენა (ისმენს დასახელებულ ფერებს).

მუშა მეხსიერება გულისხმობს იმ მცირე ინფორმაციის დამახსოვრებას, რომელიც საჭიროა მოქმედების განხორციელების პროცესში.

ნეირობიოლოგია ნერვული სისტემის შემსწავლელი მეცნიერებაა.

ნეიროფსიქოლოგია ფსიქოლოგიის დარგი, რომელიც შეისწავლის ფსიქიკური პროცესების ტვინისმიერ საფუძველს და მათ კავშირს თავის ტვინის ცალკეულ სისტემებთან.

ორთოგრაფია ნიშნავს მართლწერას და მოიცავს ამა თუ იმ ენისთვის დამახასიათებელი წერის წესების სისტემას.

სენსორული ინტეგრაცია არის არაცნობიერი პროცესი. ის გულისხმობს სხვადასხვა შეგრძნების არხიდან (მხედველობა, ყნოსვა, სმენა და ა.შ.) მიღებული ინფორმაციის აღქმას, გაფილტვრას, ორგანიზებას, ინტერპრეტაციასა და შემდგომში სწორად რეაგირებას.

ფობია - რაიმე სიტუაციის, საგნის, მოვლენის ან ადამიანის მიმართ ძლიერი შიში, რომელსაც თან ახლავს მისი თავიდან არიდების სურვილი.

ფსიქოსომატიკა არის მიმართულება მედიცინასა და ფსიქოლოგიაში, რომელიც შეისწავლის ფსიქოლოგიური ფაქტორების გავლენას რიგი სომატური (ანუ ფიზიკური) დაავადებების წარმოშობაში (მაგალითად, ბრონქული ასთმა). ხშირად ქრონიკული ტკივილების მიზეზს შესაძლოა არა ფიზიოლოგიური, არამედ ემოციური სირთულეები და/ან სტრესი წარმოადგენდეს.

ფონოლოგიური ანალიზი და სინთეზი არის სამეტყველო ენაში ბგერებით მანიპულირება, რაც გულისხმობს სიტყვაში შემავალი ბგერებისა და მარცვლების დაშლას (ანალიზი) და შემდგომში ბგერების სიტყვებად გაერთიანებას (სინთეზი). ფონოლოგიური ცნობიერების განვითარება სამომავლოდ კითხვის უნარის დაუფლების საფუძველია. ის დაკავშირებულია სმენით და სამეტყველო ბგერებით მანიპულაციასთან.

ცენტრალური ნერვული სისტემა აკონტროლებს სხეულის ყველა მოქმედებას, როგორც შინაგანს, ასევე - გარეგანს. ცენტრალური ნერვული სისტემა მოიცავს თავისა და ზურგის ტვინს.

გამოყენებული ლიტერატურა

- Cleaver H., Nicholson D. “Parental Learning Disability and Children’s Needs Family Experiences and Effective Practice”, 2007
- Dyslexia - SPELD Foundation Literacy Services, 2014.
- DSF Literacy Services., “Understanding Learning Difficulties, A guide for parents”, 2017
- Fletcher J.M. “Learning about Learning Disabilities”, 2012, Elsevier Inc, University of Houston
- International Dyslexia Association., “Dyslexia in the Classroom, what every teacher needs to know”, 2017
- International Dyslexia Association., “IDA Dyslexia Handbook: What Every Family Should Know”, 2014
- Lowell, S. C., Felton, R. H., & Hook, P. E., “ Basic facts about assessment of dyslexia: Testing for teaching”, 2014, Baltimore
- Lowell, S. C. “Best practices in reading instruction: An international effort. Perspectives on Language and Literacy”, 2011
- Mangan A.V. “The Influence Of A Child’s Learning Disability On A Parent’s Psychological Experience: A Comparison Of Parents With And Without Learning Disabilities”, 2015
- Moats, L., Dakin, K., & Joshi. R. M., “Expert perspectives on interventions for reading. A collection of bestpractice articles from the International Dyslexia Association.”, 2012
- Reid G. “Dyslexia: A Complete Guide for Parents”, 2005, University of Edinburgh, Scotland, UK
- Swanson H. L., Karen R. “Handbook of Learning Disabilities”, 2003, The Guilford Pres
- ThomsonJ., “Good Practice in interventions for teaching dyslexic learners and in teacher training in English-speaking countries”, 2010
- Marcia Eckerd, Ph.D. “Strategies for parenting a child with NLD”, 2018

